გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

# სამტრედიის მაცნე

N17 (9304) 21 ივნისი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი




3

# 21 ივნისი!



## გარდაიცვალა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი)



"ოცდათექვსმეტი წლის მღვდელმთავრული მოღვაწეობის შემდეგ, ღვთივ განისვენა ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ (მარგალიტაშვილი)" _ ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში.

სასულიერო პირი თითქმის ერთი კვირაა რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფებოდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო.

მეუფე კალისტრატეს ცხედარი ბაგრატის ტაძარში გადაასვენეს.



2

## რა ღირს დრო?

6 ნინო უძილაურის კრებულის სამტრედიული პრეზენტაცია

*ციოყუშინესი _ გზა შორიდული ქიშმარიცხმისესკენ* 4

## სანამ მედიას მეტს დააბრალებენ

2

ვისაც უნდა დანახვა, დაინახავს

## საქველმოქმედო აქცია მედიკოსებისგან "ოქროს ლანცეტის" მფლობელის მონაწილეობით




5

# სანამ მედიას მეტს დააბრალებენ





## ვისაც უნდა დანახვა, დაინახავს

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს შეკრებაზე საუბრის ერთადერთი და მთავარი თემა სამტრედიის მუნიციპალიტეტში ბოლო 6 თვის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოთა შეჯამებისა და მათი საზოგადოებისთვის გაცნობის საკითხი იყო. მთავარი მომხსენებელი მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია გახლდათ, რომელმაც დაწვრილებით ისაუბრა ყველა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტსა და დასრულებულ-დაუსრულებელ სამუშაოებზე, მუნიციპალიტეტში რომ მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმდინარეობასა და დაფინანსებაზე ჩვენი გაზეთის მეშვეობით არაერთხელ გაცნობეთ, იმ შეხვედრის მოკლე ანონსის შესაქმნელად, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები რეგიონალური განვითარების, სტიქიით დაზარალებულთა ფონდის, სოფლის პროგრამების და კიდევ სხვა სახელმწიფოებრივი დაფინანსებით სრულდება. ბუნებრივია, ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით წელს აქცენტი საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების სველი წერტილებისა და გადახურვითი სამუშაოების დასრულებაზე გახლდათ აღებული. 35-დან 31 საჯარო სკოლაში მიმდინარე ამ სამუშაოებზე 860 ათასი ლარი გამოიყო, საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე 298 ათასზე მეტი.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების შიდა ეზოების მოწესრიგება და გადახურვითი სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის 95 და ამხანაგობის 5%-იანი თანადაფინანსებით გვარდება.

რადგან აღდგა შეჩერებული სოფლის პროგრამების დაფინანსება, სოფლების მოსახლეობის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით არაერთი ინფრასტრუქტური პროექტი სრულდება სოფლებში. სხვა საჭირო სამუშაოებთან ერთად, ნიშანდობლივია, რომ წელს 5 სოფელში უკვე დაგეგმილია სამედიცინო ამბულატორიის მშენებლობა. მხოლოდ ამისთვის 103 ათას 264 ლარია განსაზღვრული. მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, თითოეულ სოფელზე გამოყოფილი თანხა 20 ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს. როგორც შეხვედრაზე ვალერიანე ფოცხვერიამ აღნიშნა: "იქნებ ვინმეს დიდი ეჩვენოს ეს თანხა, მაგრამ დარიცხვების გათვალისწინებით ბევრი სულაც არ არის. ამიტომ, სოფლებში სოფლის პროგრამებით განსაზღვრული ფინანსების გარდა, რიგ სამუშაოებს სხვა ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებითაც ვასრულებთ."

როგორც მან ხაზი გაუსვა, შემთხვევა არ ყოფილა, მოთხოვნა გაეგზავნათ და სტიქიით დაზარალებულთა ფონდიდან სამტრედიისთვის რამეზე უარი ეთქვათ. და რადგან განსაკუთრებით მაღალმთიან ზონას სტიქია ხშირად აზარალებს, არაერთი პროექტი ამ ფონდის დაფინანსებით სრულდება.

მრჩეველთა საბჭოს წინაშე მუნიციპალიტეტის მერმა ქალაქსა და სოფლებში დაგებულ გზებზე, მოწესრიგებულ გარე განათებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა: "სამტრედიას ჰყავდა ასეთი რაიკომის მდივანი, იმედაძე, რომლის დროსაც ინფრასტრუქტურა და განსაკუთრებით გარე განათება, უზადოდ მოწესრიგებული იყო. ახსოვთ ეს ფაქტი სამტრედიელებს. ამჯერად უფრო მეტი ნათურა ანათებს სამტრედიას, მეტად მოწესრიგებულიცაა იგი, გაცილებით მეტი საქმე კეთდება ვიდრე მაშინ, მაგრამ არ ჩანს, იმიტომ, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. და ერთიცაა, ვისაც არ უნდა დაინახოს, ვერასდროს დაინახავს ნაკეთებ საქმეს! მოვუწოდებ ოპოზიციას, რიგით სამტრედიელებს, შემოვიდნენ წინადადებებით და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში ერთად გავაკეთოთ ის, რაც გასაკეთებელია. იმ დონის მუნიციპალიტეტში, როგორიც სამტრედიაა, ამდენად მასშტაბური სამუშაოები არასდროს შესრულებულა."

გარდა იმისა, რაც მოწესრიგდა, ვალერიანე ფოცხვერიამ ხაზგასმით ისაუბრა იმაზე, რისი მოწესრიგებაც ვერ მოესწრო ან ვერ შესძლეს სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო. უპირველესად, ეს გაღმა ზონის სასმელი წყლით მომარაგების საკითხია. თუმცა, როგორც მერმა აღნიშნა, ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს და გარკვეულ პერიოდში პრობლემა მოიხსნება. გარდა ამისა, ისაუბრა ქალაქისთვის ძალიან მტკივნეულ თემაზე _ კანალიზაციის სისტემის განახლებაზე. გერმანული ორგანიზაციის დაფინანსებით უკვე მიღწეულია მოლაპარაკებები და ბევრი არ უნდა დააგვიანდეს სამუშაოების დაწყებას ამ საკითხზე.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, იუსტიციის სახლისთვის შერჩეული ისტორიული შენობა, ე. წ. თამარ თავაძის კოლმეურნეობა, ექსპერტიზის დასკვნით სანდო ვერ იქნებოდა და რეკონსტრუქციას ვერ დაექვემდებარებოდა. ამიტომ, უახლოეს მომავალში, უფრო სწორად მომავალი წლიდან იმ ადგილზე, სადაც ეს შენობა დგას ახალი იუსტიციის სახლი შენდება. მიმდინარეობს მუშაობა და სავარაუდოდ, მომავალი წლიდან გარკვეული გადაწყვეტილება იქნება მიღებული სპორტის სასახლის მშენებლობის საკითხზეც.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობის ინიციატორის, ჯონი ნადირაძის მხრიდან დაისვა მისი მშენებლობის დაჩქარების საკითხი. "საჯავახოსა და გომის გათხრების შედეგად აღმოჩენილი ექსპონატები სადღაც სახელმწიფო მუზეუმის საცავებშია გადანახული. რომ გვქონდეს შესაბამისი შენობა, ჩვენ გამოვფენდით მათ და მომავალ თაობებს გადავცემდით, რა ხალხი ვიყავით და რას ვაკეთებდით. თუმცა, ამჯერადაც ვმუშაობთ, რომ გადმოგვეცეს ეს ექსპონატები და იმ დარბაზში გამოვფინოთ, რომელიც გვაქვს."

"არ გვინდა ფუჭი საუბრები, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვართ ხელისუფლება, და ერთადერთი ხელისუფლება, რომლის დროსაც ომი არ ყოფილა. დიახ, მოსაგვარებელი და გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ იმის დაუნახავობაც არ არის სწორი, რაც კეთდება. თუ მედიას დავუჯერებთ, ქვეყანა იღუპება, არადა, არ იღუპება ქვეყანა, ბატონებო!" _ ეს სიტყვები ვალერიანე ფოცხვერიას საპროგრამო სიტყვებადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მედიის წარმომადგენლებს მისგან არაერთხელ გვსმენია მსგავსი რამ!

და სანამ მედიას მეტს, ანუ ქვეყნის დაქცევას დააბრალებენ, აღვნიშნავთ, რომ შეხვედრა, რომელზეც მრჩეველთა საბჭოს წინაშე მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ბოლო 6 თვის მუშაობა შეაჯამა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ, მისივე სიტყვებით: "ოპოზიციამ და ხელისუფლებამ ერთად უნდა ვაკეთოთ ხალხისთვის საჭირო საქმე", დასრულდა.

# რა ღირს დრო?

ლევან გაბეჩავა

ჩვენთან, საქართველოში, არაფერი, მაგრამ რიგ სახელმწიფოებში ოქროს ფასი აქვს დროს.

ადამიანი, ვინც იცის ფასი დროისა, პუნქტუალურადაა ცნობილი საზოგადოებაში.

არც პირველია და ალბათ, არც ბოლო იქნება ეს წერილი ამ თემას რომ ეძღვნება, წლების მანძილზე მყარად ფეხმოკიდებულ ჩვენს მანკიერებას რომ ეხმიანება.

სწორედაც რომ განებივრებულები ვართ სამტრედიელები მუნიციპალიტეტში მოქმედი შემოქმედებითი ჯგუფებისაგან, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, სპორტული თუ კულტურული ღონისძიებებით, მაგრამ, ღონისძიებები უმეტეს შემთხვევაში მითითებულ დროზე ძალზე გვიან იწყება, რაც დარბაზში მსხდომთა, მიწვეულთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს.

გვესმის, რომ 5-10 წუთზე არაა საუბარი, მაგრამ შეხვედრები, სამუშაო, საქმიანი თათბირები რომ ნახევარი, ერთი საათით გვიან დაიწყება, ვიდრე უნდა დაიწყოს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. გვიან დაწყებული ღონისძიების დასრულების დროც შესაბამისად უდროოდ ხდება, ამდენად...

შესამჩნევია ე. წ. მაყურებელთა, დამსწრეთა საქციელიც (სიტყვა კულტურა აქ შეგნებულად არ ვახსენეთ. ლ.გ.) დაასრულა (მაგალითისთვის) ბავშვმა ლექსი, სიმღერა თუ ცეკვა, მოჰკიდა მშობელმა ხელი და გავიდნენ დარბაზიდან. სად ჩანს სხვათა გულშემატკივრობა, თანადგომა? და განა მარტო ბავშვები, ახალგაზრდები იქცევიან ასე? ისინიც კი ახალგაზრდობამ მათგან რომ უნდა ისწავლოს.

არის შემთხვევები, რაგინდ საინტერესოც უნდა იყოს ღონისძიება, როცა მიმდინარეობის პარალელურად მიდის კერძო საუბრები რამდენიმე ადამიანს შორის(?!)

ისევ დროის ფასზე. 5 საათზე უკვე გათენებულია, ჭკუიდან ნამდვილად არ გადავსულვართ, 5 საათზე მოეთხოვოთ ბანკებს მუშაობის დაწყება, მაგრამ ხომ შეიძლება გაზაფხულ-ზაფხულზე, თუნდაც, სეზონურად, ბანკებმა მუშაობა 10-ის ნაცვლად 9 საათზე დაიწყონ და სოფლებიდან ალიონზე ჩამოსულებს, თავსატეხი არ გავუჩინოთ ზაფხულში სულის შემხუთველ ხვატში, ზამთარში კი ქარსა და სუსხში საათობით ჯდომით?

გამგები გაიგებს, მივესალმებით, თუ ჩვენს ამ ნათქვამს შეგნებით მოეკიდება მავანნი და პრაქტიკული ნაბიჯებით შეასრულებენ მრავალთა და არა კონკრეტულად ამ წერილის ავტორის თხოვნას.

ასე რომ, ძვირად ფასობს დრო!

ოქროს ფასი აქვს დროს!



# 21 ივნისი!

თბილისში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის 26-ე გენერალური სესია, რომელიც 19 ივნისს სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში გაიხსნა, მეორე დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში გაგრძელდა. სხდომას სხვებთან ერთად რუსი დეპუტატებიც ესწრებოდნენ. პარლამენტის სპიკერისთვის განკუთვნილი ადგილიდან, დელეგატებს ასამბლეის პრეზიდენტმა, რუსეთის დუმის დეპუტატმა, კომუნისტური პარტიის წევრმა, სერგეი გავრილოვმა მიმართა, რომელიც სხდომას უძღვებოდა. აღნიშნული ფაქტი "ევროპული საქართველოსა" და "ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატებმა გააპროტესტეს.

სერგეი გავრილოვის გამოსვლამ საქართველოში უკრაინის ელჩის უკმაყოფილება გამოიწვია _ იგორ დოლგოვმა პროტესტის ნიშნად ფორუმი დროებით დატოვა და თქვა, რომ არ სურდა რუსეთის ფედერაციის, კერძოდ კი, გავრილოვის მოსმენა. რუსი დეპუტატების მიმართ ავლაბრის სასახლესთან მოქალაქეთა აქციაც მოეწყო. მოძრაობა "რუსეთი ოკუპანტია" დეპუტატებს სტვენითა და შეძახილებით დახვდნენ.

კითხვაზე, აქვს თუ არა დისკომფორტი იმ ქვეყანაში ყოფნით, რომლის 20% მისი სახელმწიფოს მიერაა ოკუპირებული, გავრილოვი პასუხობს, რომ არანაირი დისკომფორტი არ აქვს და საქართველო მისი სამშობლოა. სახელმწიფომ რუს დეპუტატს სპეციალური დაცვაც კი გამოუყო.

გავრილოვი აფხაზეთის ომის მიმდინარეობის დროს საქართველოს წინააღმდეგ მონაწილეობდა. იგი აქტიურად გამოდის უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის, სხვადასხვა ეკლესიების მიერ აღიარების საწინააღმდეგო კამპანიის ერთ-ერთ მედროშედ.

"ამ საკითხზე ყველაფერი გარკვეული იყო. სადაც მიწვევს დასაჯდომად მასპინძელი მხარე, იქ ვთავსდები", _ აცხადებს გავრილოვი და აღნიშნავს, რომ პროტოკოლის თანახმად, ამ ადგილს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე იკავებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, თავად ის.

ასამბლეაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი უმრავლესობის დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილია.

მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის 26-ე გენერალური სესია საქართველოს პარლამენტში აღარ გაგრძელდება. ამის შესახებ ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განაცხადა. მისი თქმით, რუსი დეპუტატი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში შეუთანხმებლად აღმოჩნდა. "ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში სწორედ იმის გამო, რომ გავრილოვი შეუთანხმებლად აღმოჩნდა თავმჯდომარის სკამზე და მან ეს სხდომა წაიყვანა, გაბედა პარლამენტის თავმჯდომარისა და საპარლამენტო გუნდის პოზიციისგან შეუთანხმებლად და განსხვავებით, საქართველოს პარლამენტში ასამბლეის სხდომა ველარ გაგრძელდება".

სერგეი გავრილოვის თქმით, მან პარლამენტის სპიკერის სავარძელი დაიკავა საბერძნეთშიც, ლიბანსა და სხვა ქვეყნებშიც.

ქართველმა ხალხმა შეურაცხყოფად მიიღო ოკუპანტი გავრილოვის ეს საქციელი და პარლამენტის შენობის წინ აქცია გამართა.

რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მოვლენების შესახებ "ქართული ოცნების" ოფისში ბრიფინგი გაიმართა. ბრიფინგზე მმართველი გუნდის სახელით განცხადება პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გააკეთა. პრემიერის თქმით, მოქალაქეთა სამართლიანი პროტესტი "რევანშისტულმა ოპოზიციამ" გამოიყენა, ჯგუფური ძალადობის ორგანიზება გააკეთა, პოლიციამ კი კანონის ფარგლებში იმოქმედა. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით საპროტესტო აქციაზე დაკავებულთა რიცხვი რამდენიმე ასეულია. აქციის ის მონაწილეები კი, რომლებიც წინასწარი დაკავების იზოლატორებში აქციის დაშლისას გადაიყვანეს, ავრცელებენ ინფორმაციას, რომ დაკავებულებს შორის არიან დაშავებულებიც. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქციისას დაკავებულებსა და დაშავებულებს სამართლებრივ იურიდიულ დახმარებას სთავაზობს. საყოველთაო აქციას ქუთაისელი ჟურნალისტებიც შეუერთდნენ.













# "სახლი თანადგომას" ამანათი

ნინო ნანიტაშვილი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რომლებსაც 5 და მეტი არასრულწლოვანი ჰყავთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამანათი წელსაც ტრადიციულად გაიცა. "სახლი თანადგომას" ადმინისტრაციამ მერიის ხელშეწყობით თავისი ბენეფიციარებისთვის რამდენიმე სახის პროდუქტი შეიძინა, მათ შორის: 10 კილოგრამი პურის ფქვილი, 5 კილოგრამი მაკარონი, 3 ლიტრი ზეთი, 3 კილოგრამი შაქარი, 1 კილოგრამი ტომატ-პასტა, 1 კილოგრამი ბრინჯი, 3 ბოთლი ლიმონათი _ სულ 50 ლარის ღირებულების პროდუქტი წელს 98 ბავშვზე გაიცა.

"სახლი თანადგომას" ოფისში 2 დღის განმავლობაში რიგდებოდა პროგრამით გათვალისწინებული ამანათი. მოდიოდნენ მშობლები შშმ მოზარდებით და ასევე, მრავალშვილიანი დედები თავიანთი შვილებით. "სახლი თანადგომას" დირექტორი მზევინარ ბოხუა პატარებს ბავშვთა საერთაშორისო დღეს ულოცავდა და თან გადასცემდა ამანათებს: "მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და პლანეტაზე მცხოვრებ ყველა პატარას ვუსურვო უღრუბლო ზეცა და ხალისიანი დღეები. შეძლებისდაგვარად ვახერხებთ სხვადახვა კატეგორიების ადამიანებს, მათ შორის პატარებს გავულამაზოთ სადღესასწაულო დღეები და ჩვენი მოკრძალებული საჩუქრით გავაბედნიეროთ. ამაში აქტიურად მხარში გვიდგანან მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, მერის მოადგილე დავით ბახტაძე, რომლებსაც არასოდეს გამორჩენიათ მხედველობიდან "სახლი თანადგომიდან" გასაცემი სხვადასხვა პროგრამით გათვალისწინებული ამანათები, რის გამოც მადლობა მინდა, გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას და მერის მოადგილეს, დავით ბახტაძეს".

"სახლი თანადგომასა" და ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით ბენეფიციარების მხრიდან იმ დღეს უამრავი სამადლობელი სიტყვა ითქვა.



# კიოკუშინკაი _ გზა შორეული ქვეყნებისაკენ

ლევან გაბეჩავა

***“სამტრედიის მაცნემ” მასზე, მის გატაცებაზე წერა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა კიოკუშინკაი კარატე შედარებით ახალი დამკვიდრებული იყო არათუ სამტრედიაში, საქართველოშიც.***

***1980 წელს ახალგაზრდა ინჟინერი მიხეილ ქანთარია სამტრედიაში კიოკუშინკაი კარატეს კლუბს აყალიბებს, ხოლო მომდევნო წლებში მას საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ფედერაციის პრეზიდენტად და დასავლეთ საქართველოს რეგიონის ხელმძღვანელად ნიშნავენ.***

***2007 წელს არჩეულ იქნა საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს კლუბების კავშირის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად.***

***იმავე წელს იაპონიაში ჩატარებულმა კონგრესმა, საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს კლუბების კავშირის ეროვნული ფედერაცია მიიღო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად, ხოლო მიხეილ ქანთარია დაინიშნა ამ ორგანიზაციის წარმომადგენლად საქართველოში.***








უწარმატებულეს მწვრთნელს მინიჭებული აქვს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება კარატეს ამ სახეობაში, არის საერთაშორისო ოსტატი.

ეს მხოლოდ ნაწილია ბატონი მიხეილ ქანთარიას წოდებებისა და მიღწევებისა.

მომავალ წელს 40 წელი გახდება სამტრედიაში კარატეს კლუბის დაფუძნებიდან, ვიმედოვნებთ, ეს თარიღი შესაბამისად, ფართო მასშტაბით აღინიშნება. მანამ კი, მანამ...

საზოგადოება ''სამტრედიელის'' (თავმჯდომარე ტატა გოგუაძე, თავმჯდომარის მოადგილე მოგელი კუპრეიშვილი) ერთ-ერთ შეხვედრაზე გადაწყდა, შეხვედროდნენ სამტრედიელ კარატისტებს და მადლობა კიდევ ერთხელ ეთქვათ მათთვის სამტრედიისა და საქართველოს საერთაშორისო არენაზე წარმოჩენისათვის.

8 ივნისს ყველა თაობის სამტრედიელი კარატისტი ერთად შეიკრიბა, მასპინძელი საზოგადოება ''სამტრედიელი'' იყო, ამდენად, შეხვედრა საზოგადოება ''სამტრედიელის'' თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა მოგელი კუპრეიშვილმა გახსნა. იგი მიესალმა შეკრებილთ, მოკლედ ისაუბრა კარატისტებისა და მათი სამტრედიელი მწვრთნელის, მიხეილ ქანთარიას ღვაწლზე და სიტყვა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორს, ივანე კილტავას გადასცა. ბატონმა ვანომ, ისე, როგორც საკრებულოს წევრმა, მამუკა ბიბილეიშვილმა, ბატონმა რომან ღირდალაძემ და სხვებმა ხაზი გაუსვეს მიხეილ ქანთარიას უდიდეს ნებისყოფას, შრომისმოყვარეობას, რაც საერთაშორისოდ აღიარებული არაერთი წარმატების საფუძველი გამხდარა სხვადასხვა დროს. აღინიშნა, რომ მეტი თანადგომა ესაჭიროებათ კარატისტებს. მამუკა ბიბილეიშვილმა მიმართა კიდეც შეკრებილთ, საზოგადოებას, შესაძლებლობების ფარგლებში თანადგომა გამოიჩინონ სამტრედიის კარატეს კლუბის მიმართ.

ბედნიერი იყო იმ დღეს მიხეილ ქანთარია, თუმცა, საკმაოდ დინჯი. არცაა საკვირველი, პრესტიჟულ ჩემპიონატებზე წარმატებულ ასპარეზობას ნაჩვევი უკვე ღვაწლმოსილი მწვრთნელი თბილად, პატივით ღებულობდა თანაქალაქელთა მადლობას.

მადლობას კი მშობლები, კარატისტთა უფროსი თაობის სპორტსმენები და ამჟამინდელი აღსაზრდელები ერთნაირი სიყვარულით ეუბნებოდნენ საყვარელ მწვრთნელსა და მასწავლებელს, რომლის დიდებაზეც ოთახში განფენილი თასები, მედლები, დიპლომები, სიგელები ღაღადებდნენ. ყველაზე მეტად კი, ბატონი მიშა, წარმატებული კარატისტების, მანანა მუქერიასა და მარიამ გოგიტაურის სამადლობელმა აღაფრთოვანა. სხვა აქტიური, წარმატებული კარატისტებიც წარუდგინა ბატონმა მიშამ იმ დღეს დარბაზში შეკრებილთ.

ეს, რაც შეეხება 8 ივნისის ერთი ჩვეულებრივი დღის აღწერას.

ზემოთ ვთქვით, რომ ამ თითქმის 40 წლის მანძილზე, ''სამტრედიის მაცნე'' სისტემატურად თან სდევდა კარატისტების მიღწევებს და მკითხველს მათ შესახებ მოუთხრობდა.

მეხსიერებას შემორჩა უფროსი თაობის კარატისტების: ჯიმი სიხარულიძის, ლევან, ავთანდილ არველაძეების, ოთარ შანიძის, ვლადიმერ ფადერინის, მალხაზ გაფრინდაშვილის, ილია კალანდაძის, ზაზა დოლიძის, ზაზა დუმბაძის, კახა თავაძის, ზვიად სტურუას, ზვიად გვაზავასა და სხვათა წარმატებით გამოწვეული საყოველთაო აღტაცება, სიხარული, რომელთა შესახებაც ''სამტრედიის მაცნეც'' მოუთხრობდა მკითხველს.

დღეს კარატისტთა შორის გოგონებიც ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ წლების წინ, ანა სანაძე იყო სამტრედიის სინამდვილეში პირველი გოგონა, აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებით რომ დაინტერესდა.

ლამაზი დღე აჩუქეს სამტრედიელებს საზოგადოება ''სამტრედიელის'' წევრებმა. კარატისტებისა და მისი მწვრთნელის, მიხეილ ქანთარის გარჯის დაფასებით მათ მომავალ თაობას შესანიშნავი მაგალითი მისცეს იმისა, თუ როგორ უნდა იქნას დაფასებული ხელოვანი, შემოქმედი, გამრჯე ადამიანი.

''სამტრედიის მაცნესთან'' კომენტარში მიხეილ ქანთარიამ მადლობა უძღვნა სპორტსკოლის თავკაცებს, ივანე კილტავასა და აკაკი დვალიშვილს თანადგომისათვის, ასევე, ბატონ როლანდ ღირდალაძეს, რომელიც იყო ჩინური ტანვარჯიშის ''უშუ-ს'' პრეზიდენტი სამტრედიაში, აგრეთვე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის, ''ყვითელი ფიტნესის'' დირექტორს, ლაშა კვანტალიანს, რომელმაც უსასყიდლოდ, ქველმოქმედებით დაუთმო კარატისტებს კლუბი სავარჯიშოდ, რაც შემდგომი წარმატების პირობა გახდა.

და მაინც ვინ არის ბატონი მიშა ქანთარია?

საერთაშორისოდ აღიარებული მწვრთნელი, კაცი, რომელმაც შეუძლებელი შეძლო და რომლისგანაც კიდევ მეტს ელიან ლამის 150 წლის სამტრედია, მისი მკვიდრნი, ის პატარა კარატისტები და მათი მშობლები 8 ივნისს დარბაზში რომ იმყოფებოდნენ.

თქვენი და თქვენი შეგირდების გარჯის შედეგია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში პატარა საქართველოსა და ციცქნა სამტრედიის ალმები რომ ფრიალებენ, საქართველოს ჰიმნი რომ ჟღერს.

მადლობა ამისათვის, ბატონო მიშა!

# მათემატიკის თასის გამარჯვებული პირველი სკოლაა

ნათია ნაცვლიშვილი

***სამტრედიაში მათემატიკურ სკოლას უდიდესი ტრადიცია აქვს. ამდენად, არც თანამედროვე მასწავლებლები ღალატობენ ღირსეულ ტრადიციას და ამ საქმეს ღირსეულად აგრძელებენ. გოჩა გაბუნია პირველი საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგია მუშაობის ათწლიანი სტაჟით. ის ასევე ასწავლის კომაროვის მათემატიკური სკოლის ფილიალში, “შაბათის სკოლაში”, რომელიც ჩვენს ქალაქში რამდენიმე წელია არსებობს და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ბატონმა გოჩამ ახლახან შემოიკრიბა სამტრედიის საჯარო სკოლების პედაგოგები და მათი ხელშეწყობით დააარსა ტურნირი “მათემატიკის თასი”, რომლის დევიზია: რატომ? როგორ? რამდენი მათემატიკის პედაგოგთა რამდენიმე თაობა გაერთიანდა ამ სასიკეთო საქმის ირგვლივ და მუნიციპალიტეტის სკოლების მონაწილეობით ტურნირი გაიმართა.***

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: მესამე საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი, გულივერ მესხი, მეორე საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი, ვერიკო ჯიჯელავა და გოჩა გაბუნია.

შეჯიბრებაში 10-ზე მეტი სკოლა მონაწილეობდა, იგი სამ ტურად წარიმართა. ფინალურ ტურს სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლამ უმასპინძლა, სადაც ერთმანეთს მეთერთმეტე და პირველი სკოლის გუნდები, ''ინტეგრალი'' და ''მატრიცა'' დაუპირისპირდნენ. გამარჯვებული გუნდის, ''მატრიცას'' წევრები არიან: რევაზ ბოლქვაძე, მარიამ მანჯგალაძე, ჯაბა შეყრილაძე, თეკლა შეყრილაძე, ქრისტინა კიკაჩეიშვილი და კაპიტანი იოანე მახარაძე.

მეთერთმეტე სკოლის გუნდი მოამზადა და ხელმძღვანელობა გაუწია მათემატიკის პედაგოგმა, ქეთევან ტალაბაძემ: ''ტურნირს, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეების მათემატიკით დაინტერესებისათვის, მიმდინარეობს ძალიან დაძაბულად, ბავშვები მონაწილეობენ მონდომებით და ხალისით. მათემატიკა მეცნიერების დედოფალია, ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდის აზროვნების, ანალიზის უნარის ჩამოყალიბებისათვის''. _ განაცხადა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ქეთევანმა.



გოჩა გაბუნია: ''სამტრედიის მათემატიკის თასის იდეა სამი წელია მქონდა, მაგრამ ვერ განვახორციელე, რადგან საორგანიზაციო საკითხების გადაჭრა გაჭირდა. შემდეგ ერთ-ერთ ტრენინგზე, სადაც შეკრებილნი იყვნენ სამტრედიის მათემატიკოსები, მივმართე მათ, თუ გექნებათ სურვილი, დამიჭიროთ მხარი ამ წამოწყებაში-მეთქი. მართლაც, ბევრმა გამოთქვა სურვილი და ისევ ენთუზიაზმით, საერთო შენაკრები თანხით, ბავშვებმაც და პედაგოგებმაც ცოტა თანხა გავიღეთ და შევადგინეთ ბიუჯეტი, ისევ იმისათვის, რომ ბავშვებისთვის გადაგვეცა თასები და სიგელები.

_ მუნიციპალიტეტის მერიას მიმართეთ დახმარებისათვის?

_ მერიამ მითხრა: ''რადგან უკვე ბიუჯეტი შემდგარია, ვერ შეძლებდნენ დახმარებას და შემდგომში აღმითქვეს დახმარება. ვნახოთ, როგორ იქნება მომავალში. ჩვენი შეჯიბრება ითვალისწინებს მონაწილეობის სამ ფაზას: პირველ ეტაპზე მონაწილეობდნენ გუნდები, ვინც განაცხადი გააკეთა, მეორე, ნახევარფინალურ ეტაპზე _ პირველი საუკეთესო ოთხეული, მერე ეს გუნდები წყვილდებოდნენ, პირველადგილოსანი მეოთხესთან, მეორეადგილოსანი _ მესამესთან და ამათ შორის გამარჯვებულნი ფინალში დაუპირისპირდნენ. თამაშის პირველ ტურში გვქონდა ათი ერთქულიანი შეკითხვა, მეორე ტურში იყო წერითი დავალება, ფინალში და ნახევარფინალში ამ წერით დავალებას გუნდები თავად უმზადებენ ერთმანეთს, მხოლოდ პირველ ტურში ვამზადებთ ჟიური და კომისია, მესამე ეტაპზე გვაქვს ხუთი საქულიანი შეკითხვა, მეოთხე ეტაპზე ეს არის ბლიც ტური, როცა ერთი მოთამაშე ინდივიდუალურად თამაშობს. ყველაზე კარგი ის არის, რომ აქ შერწყმულია როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. იმედი გვაქვს, ეს წაადგებათ მოსწავლეებს, ეს ამოცანები სასკოლო პროგრამიდანაა, სასკოლო გუნდური შეჯიბრება იმიტომაც მოვიფიქრეთ, რომ ყველა ბავშვს არა აქვს საშუალება, ღირსეული კონკურენცია გაუწიოს მათემატიკურ სკოლებს და ამიტომ იჩაგრება მათი ინტერესები, შევეცადე, შემექმნა სასკოლო მათემატიკურ პროგრამაზე მორგებული შეჯიბრება, რომ თუ მაგალითად, მე სხვას ვერ ვჯობივარ, არ მაქვს საშუალება, ვიყო მათემატიკური სკოლის მოსწავლე, მეც მინდა მქონდეს თავის გამოვლენის საშუალება, მეც მქონდეს ასპარეზი. მინდა ასეთ ბავშვებს ჰქონდეთ ასპარეზი, თუ ამას ფართო ასპარეზი ექნება, ბედნიერი ვიქნები, რაც შეეხება ჟიურის: ქალბატონი ვერიკო ჯიჯელავა ძალიან დამეხმარა, მან შექმნა ბლოგი, სადაც იყო განთავსებული ყველა ინფორმაცია ჩვენი მოღვაწეობის შესახებ. ჩვენი მუნიციპალიტეტის უხუცესი და ძალიან გამოცდილი პედაგოგი, ბატონი გულივერ მესხი კომისიის უალტერნატივო წევრია, ასევე ქალბატონი ვერიკო ძალიან ღირსეული პედაგოგი პირველი იყო, ვინც აიტაცა ეს იდეა. ბავშვებს თავიდან არ მოუხაროდათ, მაგრამ პირველი ტურის მერე მათი ინტერესი გაიზარდა. მათემატიკას შრომა სჭირდება და ეს ბევრს ეზარება, საკმარისად ნიჭიერი ბავშვები არიან ჩვენს მუნიციპალიტეტში, სწორი მოტივაციის შექმნაა საჭირო, სკოლაც უნდა იყოს მეტად პრინციპული მსგავს საკითხებთან, არც ერთ საგანს არ ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ მათემატიკა არ არის რიგითი საგანი. ვერც ერთი დისციპლინა მათემატიკური სწორი გათვლების გარეშე ვერ ფუნქციონირებს სათანადო დონეზე.

# საქველმოქმედო აქცია მედიკოსებისგან "ოქროს ლანცეტის" მფლობელის მონაწილეობით

**თეა ბაბუნაშვილი**

თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრის ინიციატივას, სამტრედიაში პედაგოგებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო კონსულტაციების გაწევის თაობაზე, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მით უმეტეს, რომ კონსულტაციებს მაღალკვალიფიციური მედიკოსები ატარებდნენ. გამოკვლევების ჩატარება სხვადასხვა სამედიცინო პროფილით შეეძლოთ დაინტერესებულ პირებს. აღსანიშნავია, რომ აქცია საშუალებას იძლეოდა, ბარეატრიული მედიცინის საუკეთესო სპეციალისტებთან გაევლოთ კონსულტაციები პაციენტებს. სამტრედიელებისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო გახლდათ, რომ ბარეატრიული ქირურგის რანგში მერაბ ჯანელიძე უწევდა კონსულტაციებს დაინტერესებულ პირებს. პროფესორ მერაბ ჯანელიძეს სამტრედიელებისთვის წარდგენა ბუნებრივია, არ სჭირდება. მისი მიღწევები განსაკუთრებით საამაყო სწორედ მისი მშობლიური მუნიციპალიტეტისთვისაა, მით უმეტეს, რომ პროფესორი ამ გვარ-სახელით არა მხოლოდ სამტრედიაშია აქაურების მშველელ-პატრონი ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის საჭიროებისას.

ის, რომ სულ ცოტა ხნის წინ იგი "ოქროს ლანცეტის" ტიტულით დაჯილდოვდა, და ქირურგისთვის ამ უმაღლეს ჯილდოს საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ სამი ადამიანი ფლობს, კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის მის მიღწევას. ოქროსხელება ბიჭიაო, ამგვარი შეფასება მოჰყვა მერაბ ჯანელიძის პიროვნებას საკრებულოს იმ სხდომაზე, რომელზეც მას ქირურგისთვის ეს დიდი აღიარება მიულოცეს. თუმცა, სამტრედიელებმა ეს დაჯილდოვებამდეც კარგად იცოდნენ. "ნამდვილად დიდი აღიარებაა ეს ქირურგისთვის, იმისთვის, რომ მისი ნაშრომი დაფასდეს. მოხარული ვარ, რომ ამ ჯილდოს მფლობელი მეც გავხდი." _ განაცხადა მერაბ ჯანელიძემ.

რაც შეეხება საერთაშორისო სამედიცინო ცენტრის უფასო აქციას, მას სამტრედიაში სამედიცინო კლინიკა "ხარებამ" უმასპინძლა. მართალია, იგი პედაგოგებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის გაიმართა, მაგრამ უფასო კვლევების ჩატარების მსურველებს შორის სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები და ზოგადად, სამტრედიელი მოსახლეობაც მრავლად იყო.

ადგილობრივი მერია მხარდამჭერი გახლდათ ამ საქველმოქმედო აქციისა. მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, როგორც სხვა მსგავსი აქციების დროს არაერთგზის, ამჯერადაც აცხადებდა, რომ: "ადგილობრივი მერია შესაბამისი სოციალური პროგრამით აფინანსებს მკურნალობის პროცესს გარკვეული კატეგორიის პაციენტებისთვის. მზად ვართ, ყველა იმ ადამიანს დავეხმაროთ ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში, ვინც ამას საჭიროებს. ჩემი მხრიდან მადლობა მინდა ვუთხრა როგორც ჩვენს სტუმარ კლინიკასა და მედიკოსებს, ასევე სამედიცინო კლინიკა "ხარებას" ამ შესაძლებლობისათვის."

თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრის სამედიცინო დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორობის კანდიდატი ცოტნე სამადაშვილი ხაზს უსვამდა, რომ დედაქალაქიდან ქუთაისში, კერძოდ, ამ კლინიკაში მისი გადმოსვლის უპირველესი მიზეზი ამ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალკვალიფიციური მედპერსონალი გახლდათ. ეს პირველი საქველმოქმედო აქცია არაა შედარებით ახლად შექმნილი სამედიცინო ცენტრისთვის. აღსანიშნავია, რომ კლინიკაში მოქმედებს საყოველთაო დაზღვევა. გარდა ამისა, კლინიკის მენეჯმენტთან შეთანხმებით აქვთ ურთიერთობები სხვადასხვა კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიასთან.









# მალე ჯებირებს გადმოვდინდები!...







**ნათია ნაცვლიშვილი**

***არა სკოლის კედლებში, არამედ, რესტორნის დარბაზში გაიმართა მეოთხეკლასელთა ღონისძიება. სწავლის პირველი საფეხური დაასრულეს და საყვარელ ნონა მასწავლებელს დაემშვიდობნენ მეოთხე ბ კლასის ბავშვები. მასშტაბურობა შვენის მნიშვნელოვან თარიღს და ამ განსხვავებულმა ღონისძიებამაც გაამართლა. ნონა ჯინჭარაძის კრეატივი აქტიური მშობლების კრეატივს შეერწყა და საინტერესო და დასამახსოვრებელი დღე გვაჩუქეს პატარებმა. დღე დატვირთული ბევრი მოულოდნელობით და სიურპრიზით. ამ ლამაზ საღამოს მუნიციპალიტეტის მერიც დაესწრო და მისგან მოწონებაც დაიმსახურა.***

---

ჯემალ სეფიაშვილის ცნობილი "გიხაროდენით" გაიხსნა საღამო, ცქრიალა-გოგო ბიჭების მხიარული ემოცია გადამდები აღმოჩნდა დარბაზში მსხდომთათვის. შესანიშნავი გადაწყვეტა შემოგვთავაზა ქორეოგრაფმა ჟორა პაქსაშვილმა: ქართული ანბანის ყველა ასო ხორუმის მუსიკაზე აცეკვდა! შესანიშნავმა ნომერმა სრულიად დარბაზი მოხიბლა! ასევე ბრწყინვალედ შეასრულეს მოსწავლეებმა ოსური, აჭარული, აფხაზური და რაჭული ცეკვები! მუსიკალურ მხარეზე პედაგოგმა სოფიო ახობაძემ იზრუნა და დახვეწილი მუსიკალური ნომრები შემოგვთავაზეს პატარებმა.

ბავშვებმა გაიხსენეს, რომ ეს ოთხწლიანი პერიოდი დატვირთული იყო პროექტებით, გამოფენებით, პრეზენტაციებით, ექსკურსიებით... მათი პედაგოგის მთავარი შეგონება იყო: ისწავლე ფრთების გამოყენება და იფრინე! დედებს მაისურებზე ეწერათ: საუკეთესო შვილის დედა! ერთ-ერთმა მოსწავლემ დედასთან ერთად შესანიშნავად უმღერა დედაშვილურ სიყვარულს. ბავშვებმა მომავალი პროფესიები ჩამოთვალეს, სხვათა შორის, პროფესიათა ძალიან საინტერესო სპექტრი წარმოადგინეს და თქვეს: ვამაყობთ, რომ ქართველები ვართ, სკოლაში გვზრდიან ქართველ პატრიოტებად, იმ ადამიანების შთამომავლები ვართ, ვინც დღემდე მოგვიტანეს ენა, მამული და სარწმუნოება! ეს სიტყვები კი ვაჟკაცური და რაინდული მუხტით წარმოთქმული პატრიოტული ლექსებით გაამყარეს. ბავშვებმა უდიდესი სიყვარული გამოხატეს ყველა იმ პედაგოგის მიმართ, რომელთაც მათთან ჰქონია შეხება. ქედს ვიხრით ჩვენი მასწავლებლების წინაშე, რომლებთანაც ერთად ზღაპრულ სამყაროში ვიმოგზაურეთო. გვითხრეს და თაიგულებით დაასაჩუქრეს ანჟელა ბუაძე, სოფიო ახობაძე, ნათელა ჯანჯალია, გულისტკივილით გაიხსენეს ლია კუკალია და ციცინო ნოზაძე. დედიკოებმა სიურპრიზად ვიდეორგოლი მოუმზადეს საყვარელ პედაგოგს. საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები საყვარელ ნონა მასწავლებელს ესალმებიან და წარმატებას უსურვებენ. ასე რომ, დარბაზში მყოფთ არ გაჰკვირვებიათ, თუ რატომ მიულოცეს ამ ლამაზ გოგო-ბიჭებს და მათ პედაგოგს ნოდიკო ტატიშვილმა, დათო ლიკლიკაძემ, გია ჯაჯანიძემ, გოგი წულაიამ, საბა კემულარიამ და დავით დვალიშვილმა სასწავლო წლის დასრულება. პატარებმა ასევე მადლობა მოახსენეს მზრუნველობისა და სიყვარულისთვის კარგ მენეჯერს, სკოლის მართვის შესაშური თვისებების მქონე ხათუნა ფაილაძეს. ბოლოს ემოციამ იმძლავრა, პატარები ატირდნენ, ხან ნონა მასწავლებელს ეხუტებოდნენ ცრემლმორეულნი, ხანაც, ლელა ჩორგოლაშვილს, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან გადაიბარებს კლასს. ბავშვებმა მადლობა მოახსენეს ასევე ნონა მასწავლებელს აუწონავი შრომისა და გარჯისათვის, პედაგოგი საოცრად თბილი და გულში ჩამწვდომი ლექსით დაემშვიდობა მოსწავლეებს. სცენაზე მომავალი პირველკლასელებიც გამობრძანდნენ, ნეტავ როდის მოვიკიდებ ლამაზ ჩანთას პეპლის ფრთიანსო, ინატრა ციცქნა გოგონამ...

სკოლის დირექტორი, ხათუნა ფაილაძე: "ჩემო ფერიებო, ვაჟკაცებო, აღელვებული ვარ და ბედნიერი, ბევრი ლამაზი დღე მაჩუქეთ ამ 4 წლის განმავლობაში, მადლობა, ნონა მასწავლებელო, უშრეტი ენერგიისთვის, მშობლებო თანადგომისთვის, ცოდნის და კარგი ადამიანობისათვის, მჯერა, არასოდეს ჩამოხვალთ პირველობის საფეხურიდან!"

_ აქ არმოსვლის უფლება არ მქონდა, რადგან ამ პატარებმა დამპატიჟეს, მართლაც, ამართლებთ სახელს და პირველობთ! გამორჩეული დირექტორი და პედაგოგები გყავთ. _ მიმართა ღონისძიების მთავარ გმირებს მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ. სიყვარულით სავსე სიტყვები არ დაიშურეს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსმა, თინა ხარძიანმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტმა ელზა ცხვირავაშვილმა. ნონა მასწავლებელთან მოსწავლის ამპლუაში ყოფნის წლები სიყვარულით გაიხსენა რესურსცენტრის იურისტმა, ნათია ყუბანეიშვილმა. ლამაზი საღამო ტრადიციული ფოიერვერკით დასრულდა.

# ნინო უძილაურის კრებულის სამტრედიული პრეზენტაცია

ნათია ნაცვლიშვილი

***"ჩემთვის უდიდესი პატივია, გაჩუქოთ ჩემი წიგნი წარწერით და მარადიულად დავრჩე თქვენი წიგნის თაროზე, ძალიან მიხარია, რომ სამტრედიაში ეწყობა კრებულის პრეზენტაცია, ეს ჩემთვის მეორე მშობლიური ადგილია"_ ამ სიტყვებით დაიწყო პოეტმა ნინო უძილაურმა შეხვედრა სამტრედიის ინტელიგენციასთან. ხალხმრავალ აუდიტორიაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა მისი ახალი პოეტური კრებულის "მე ფშავლის ქალი" წარდგინება. ეს ნინო უძილაურის მეორე კრებულია, მესამე კი, სახელწოდებით "მარადისი" უახლოეს ხანებში იხილავს სამზეოს.***



ვიდრე მის პოეზიაზე ვისაუბრებდეთ, უნდა აღინიშნოს ამ ქალბატონის გარეგნული მშვენიერება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ის სიკეთეს, სიმშვიდესა და ზნეობრივ სინატიფეს ასხივებს. იგი ტიპიური მესაძირკვლეა ქართული ოჯახისა, სწორედ ის ქართველი ქალია, გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ ამკობდა სიტყვებით "ჰოი დედანნო, მარად ნეტარნო! კურთხევა თქვენდა ტკბილსახსოვარნო!" დარბაზში არაერთმა გამომსვლელმა გაიხსენა, მეუღლესთან, მერაბ კაჭახიძესთან ერთად როგორ ზიდა ქალბატონმა ნინომ ქვეყნის ერთგულების ტვირთი. ამ ოჯახის წვლილი და დამსახურება დიდია ეროვნულ მოძრაობაში. ნინო უძილაური პროფესიით ინჟინერია, თუმცა მკაცრად ტექნიკური პროფილი არ აღმოჩნდა ბარიერი, რომ მას ლექსები ეწერა, გარემომცველი მატერიალისტური, სულიერებისაგან დაცლილი ყოფა პოეტური, ქალური სითბოთი გაეკეთილშობილებინა. პირველად მეგობრებმა შეაგულიანეს და გამოუცეს წიგნად ლექსები, შემდეგ მისი ლექსები მწერალ რეზო მიშველაძის მაგიდაზე აღმოჩნდნენ, მოწონება დაიმსახურეს და უკვე ნინო უძილაური მწერალთა კავშირის წევრიც არის. პრეზენტაციის დაწყებამდე გაიმართა პოეტის მიერ მომზადებული ვიდეორგოლის ჩვენება, სადაც მოთხრობილი იყო ოჯახისა და მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზის შესახებ. შეხვედრას დაესწრნენ მისი მეუღლე, ქალიშვილები და შვილიშვილები.



შეხვედრას დაესწრო და პოეტს წარმატებები უსურვა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გია მიქელაძემ. ბატონი გია ნინო უძილაურის ახალი წიგნის სპონსორია. როგორც თავადვე ბრძანა, სიამოვნებით დასთანხმდა წიგნის გამოცემაში დახმარებას და უფლება არ ჰქონდა, წიგნის გამოცემისთვის მხარი არ დაეჭირა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური: "უძილაურების ოჯახთან დიდი ხანია ვმეგობრობ, სტუდენტობიდან ვიცნობ ამ ულამაზეს ქალბატონს, ყოველთვის მქონდა შეგრძნება, რომ ის პოეტური სულისა იყო, მაგრამ ლექსებს თუ წერდა, ახლახან გავიგე, სიამოვნებით ვეცნობი მის შემოქმედებას და წარმატებებს ვუსურვებ მას!"



მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია: "პოეზიის დიდი მოტრფიალე ვარ, მიხარია ხოლმე, როცა ჩემს მახლობელ გარემოში ვინმე ლექსებს წერს. რომ შემეხმიანნენ ჩემი მეგობრები ამ შეხვედრის თაობაზე. გადავწყვიტეთ, ის ხალხი მოგვეწვია, ვინც ეტრფიალება პოეზიას. ამ ოჯახს, კაჭახიძეების ოჯახს ყველა ვიცნობთ, ეს არის ქართული სულით გაჟღენთილი, ეროვნული მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენელთა ოჯახი, მადლობა ჩვენს რძალს, რომ აქ გადაწყვიტა თავისი წიგნის პრეზენტაცია, მადლობა დეპუტატს, ბატონ გიას ხელშეწყობისათვის."



საკუთარ ლექსებს პოეტიც კითხულობდა და მისი პოეზია ასევე წარმოადგინეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პარლამენტის ნიჭიერმა წევრებმა. სამტრედიას სტუმრობდნენ პოეტის შვილიშვილები ნინიკო და ანასტასია და დეკლამატორობით მათაც მოიწონეს თავი.

კობა ძიძიგურმა აუდიტორიას ნინო უძილაურის ახალი კრებულის "მე ფშავლის ქალი" რედაქტორის, მწერალ რევაზ მიშველაძის წინასიტყვაობა გააცნო. ფინალურ ნაწილში ვკითხულობთ: "ეს წიგნი ნინო უძილაურის შემოქმედებას მეტნაკლები სისრულით ასახავს და წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს იმ გზაზე, რაც პოეტური მუზის ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოვებულმა ლექსის ოსტატმა გაიარა. ღმერთმა ხელი მოუმართოს ქალბატონ ნინო უძილაურს, რომელმაც ქართული ლექსის დიდ ტაძარში ერთი ღონიერი კელაპტარი დაანთო!"

რედაქტორის ეს განწყობა გაიზიარეს პრეზენტაციაზე დედაქალაქიდან ჩამოსულმა მწერალთა კავშირის წევრებმა, პოეტებმა ნანა ცინცაძემ, თემურ ცერცვაძემ, ჯუბა ლებელმა, თემურ არახამიამ.



დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯის ხელმძღვანელმა, ნუგზარ მიქაძემ გაიხსენა, რომ ქალბატონ ნინოს 28 წლის წინ შეხვდა, სწორედ იქიდან დაიწყო ნაბიჯები დიდ პოეზიაშიო, ბრძანა მან: "იქნებ ზოგმა თქვას, პოეზიასთან მეუღლე რა შუაშიაო, სწორედაც შუაშია, თქვენი სიყვარულის შემდეგ მოვიდა მუზა, ჯერ მეუღლე იყო, შემდეგ _ პოეზია. თქვენ ძალიან ლამაზი პოეზიის ენით გვესაუბრებით, ლექსებში კი იგრძნობა დიდი სიყვარული ქვეყნის მიმართ, წარმატებული პოეტი ხართ და მოსიყვარულე ადამიანი".



_ "ვამაყობ, რომ თქვენ ჩვენი, სამტრედიელების რძალი ხართ, კიდევ ბევრი ლამაზი პოეტური კრებული გამოგვეცეთ."_ მიმართა "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა, ბეჟან გოგიამ პოეტს.

დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ორგანიზატორი, ჯონი ნადირაძე: "კაჭახიძეების ოჯახი ჩემთვის ძალიან ახლობელია, ნინოს ძალიან რთული პერიოდი აქვს ცხოვრებაში გამოვლილი, ამის მიუხედავად, მან შეძლო ძალიან თბილი ლექსების დაწერა, თქვენი დიდი ოჯახი სიყვარულით არის განმტკიცებული და ამ სიყვარულის შედეგია თქვენი პოეზიაც. ეს წიგნი თავიდან ბოლომდე სიყვარულია! სიყვარულით არის გაჟღენთილი ყველა ლექსი! სიყვარულით ღვთისადმი, ქვეყნისადმი, ოჯახის, მეუღლის და მშობლებისადმი! აქ არის მზაობა ღვთის მორჩილებისა, არის ლექსები ოჯახის სიწმინდესა და სიყვარულზე."

გოგი ლეჟავა, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: "ბედნიერი ვარ, რომ ახლოს ვიცნობ პოეტს და ვესწრები ამ პრეზენტაციას, ასეთ რთულ საქმეს, პოეზიას შეჭიდებიხართ, ჩემო ნინო! "საქართველოში ორგზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი" სიყვარულით გევლოთ ცხოვრებისეული ბილიკებით ადამიანური სულისკენ სავალ გზაზე!" პოეტს მიესალმა აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, ია ბერძული.

"სამტრედიის მაცნე" ესაუბრა ნინო უძილაურის მეუღლეს, წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატს, მერაბ კაჭახიძეს: "გეტყვით, რომ ჩემს მშობლიურ რაიონში მერიდებოდა ამ პოეზიის სახალხოდ გამომზეურება, იქნებ იმერული თავმდაბლობის მომენტია, მაგრამ რამდენიმე რაიონში მან უკვე ჩაატარა საღამოები. მითხრეს, რატომ არიდებთ თავსო და ... დახვედრას რაც შეეხება, ეჭვიც არ მეპარებოდა სამტრედია ღირსეულად მიიღებდა თავის რძალს.

_ რამდენად მკაცრი შემფასებელი ხართ მეუღლის შემოქმედების?

_ ვერა ვარ ობიექტური შემფასებელი, პირიქით, მკაცრი ვარ, ამა თუ იმ სტროფზე მსჯელობაც გვქონია ხოლმე... უნდა ვთქვა, ამ თვალსაზრისით რაღაც გამოცდილება მეც მაქვს. ორი პოეტი ერთი ოჯახისთვის ნამეტანია, გავეცალე, მე უფრო სოციალ-პოლიტიკური მიმართულების პოეზიას წარმოვადგენ (იცინის). მესამე წიგნი იბეჭდება ქალბატონი ნინოსი, მისი შემდგარი პოეტური მოღვაწეობა ორ წელს ითვლის და სამი წიგნი ეს ცუდი შედეგი როდია. თუმცა იმასაც ვეუბნები, არ გაიტაცოს ეიფორიამ."

თავიანთი შემოქმედებითი ღონისძიება დაამშვენეს ანსამბლ "ჩანგის" წევრებმა.

# რა ოთხი წელიწადია ეს ოთხი წელიწადი



**თეა ბაბუნაშვილი**

***ისინი, ვინც იმ დღეს სცენაზე იდგნენ, კიდევ ბევრ წელს გაატარებენ იმ დიდფანჯრიანი შენობის კედლებში, სკოლა რომ ჰქვია, მათთვის ცოდნის ტაძარი რომ გახდა და კიდევ მეორე ოჯახი, სადაც გარდა "აი იასი", სამშობლოს სიყვარულს, მოყვასის პატივისცემას, მეგობრობას ასწავლიან, სადაც ღირსეულ მოქალაქეებად ყალიბდებიან. ოთხი წლის წინ შეაღეს სკოლის კარი და თვალსა და ხელს შუა გაფრენილ ამ ოთხ წელიწადს, მეხუთე კლასის მიჯნაზე, ცეკვა-სიმღერასთან ერთად გულისწყვეტითაც გამოემშვიდობნენ.***

მართალია, ილია ჭავჭავაძეს სხვა, გაცილებით გლობალური საფიქრალი ჰქონდა, მაგრამ მისეული ინტერპრეტაციით რომ ვთქვათ, ვინ რა იცის, რა ოთხი წელიწადია ეს ოთხი წელიწადი! "დედაენასთან" ზიარების ოთხი წელია, ტოლმეგობრებთან შეგუების, მშობლიური სკოლის შეჩვევის, სამშობლოს შეცნობის, სამყაროს გაცნობის ოთხი წელია, პირველი მასწავლებლის შეყვარებით დაწყებული, ზოგადად, მასწავლებლის შეყვარების ოთხი წელია!

ჰოდა, განსაკუთრებულად ლამაზები იყვნენ იმ დღეს მე-11 საჯარო სკოლის მეოთხე მეორე კლასის მოსწავლეები საზეიმო სამოსით, საზეიმოდ მორთულ დარბაზში. მათი პირველი მასწავლებელი და დედასავით ერთგული მეგზური ამ ჯადოსნური ოთხი წლის განმავლობაში, ირინა ჯანელიძე, მოსწავლეების სამოსისფერ კაბაში გამოწყობილი, ბოლო დარიგებებს, მითითებებს აძლევდა მათ. ვინ მოსთვლის მერამდენე თაობაა მის მიერ დაფრთიანებული და მაღალ საფეხურებზე ხელშეშველებული ცოდნის მწვერვალების დასაპყრობად.

ცეკვით, სიმღერით, ლექსით, ბავშვური გულწრფელობით გამთბარი სიტყვებით ეფერებოდნენ თვალხატულები იმ განვლილ წლებს და ეგებებოდნენ ამიერიდან სწავლითა და შრომით გასავლელს. სწავლის მწარე ძირის კენწეროში გატკბილების იმედით ფეხს დგამდნენ ცოდნის ახალ საფეხურზე და "დიდ ბავშვობას" უერთდებოდნენ. კიდევ უფრო მეტ ფერს სძენდნენ მათი სილამაზით გაცისკროვნებულ მათივე სავალს, პირობას სდებდნენ, რომ მათსავით მართალი, მოსიყვარულე, იმედიანი იქნებოდა ხვალ საქართველო, რადგან სამშობლოს მესაჭეები თავად უნდა გახდნენ, მათი სურვილი და მიზანი კი ახალი მისწრაფებებით, არდასავიწყებელი ტრადიციებისა და ისტორიის არდავიწყებით, თანამედროვეობის ფეხაწყობით, შრომით, განათლებით ძლიერი ქვეყნის შენებაა! ასე ასწავლეს, ასე ზრდიან და სხვა გზა არ აქვთ, იმედები უნდა გაუმართლონ საყვარელ ირინა მასწავლებლებს, მშობლიურ სკოლას, მშობლებს და ქვეყანას!



# ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!



**ნათია ნაცვლიშვილი**

***ტრადიციული ექსკურსია შემოქმედებით დღედ იქცევა ხოლმე, როცა კრეატიული პედაგოგი გყავს. ამ ბავშვებს მართლაც გაუმართლათ, რადგან მათი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ლიკა პატარიძეა. გასვლითი კლასგარეშე აქტივობა მელაურის საჯარო სკოლის (დირექტორი ნინო ნიკოლეიშვილი) მეშვიდე და მეექვსე კლასელებმა დიდი ნიკო ნიკოლაძის, დროს გასწრებული გენიოსის სახლ-მუზეუმში მოაწყვეს.***

წალკოტად ქცეულ ეზო-გარემოში, მუზეუმის საგანგებოდ გამართულ სცენაზე ბავშვებმა წარმოადგინეს ღონისძიება სახელწოდებით "დიდი მამულიშვილები და ჩვენ". მუზეუმის თანამშრომლები სიამოვნებით შემოუერთდნენ ამ პატრიოტული შინაარსის ღონისძიებას და პედაგოგს და მოსწავლეებს მადლობაც მოახსენეს. _ იქნებ ვინმემ გვკითხოს, რატომ ბავშვთა დღეს ასეთი აქტივობა? დღეს რომ მყარად ვდგევართ ქართულ მიწაზე, ჩვენი მამულიშვილების დამსახურებაა, ჩვენც ისე უნდა აღვზარდოთ მომავალი თაობა, რომ საქართველოს ღირსეული მოქალაქეები იყვნენ." _ განაცხადა პედაგოგმა ლიკა პატარიძემ.

მოსწავლეებმა შესანიშნავად მიმოიხილეს ეროვნული მოღვაწეების, ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ბიოგრაფიები, ისაუბრეს მათ ღვაწლზე ქვეყნის წინაშე, რადგან ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში იმყოფებოდნენ, აქცენტიც სიტყვისა და საქმის ულმობელ კაცზე, პროგრესულად მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძის საქმიანობაზე გაკეთდა. აღინიშნა მისი, როგორც ტექნიკური პროგრესის მამამთავრის, მეცნიერის, პუბლიცისტის, პოლიტიკური მოღვაწის, კალმოსნის... ორი საუკუნის ადამიანის ღვაწლი. 1948 წელს დაარსებულ ამ მუზეუმში ყველა ქართველი დღეს სიამაყით შედგამს ფეხს და უდიდესი სიყვარულის და პატივისცემის გრძნობით აღსავსე სტოვებს ამ შინარსობრივად დატვირთულ ადგილს, აივანს, სადაც სამშობლოზე ფიქრში ღამეები უთენებიათ ნიკოსა და აკაკის. სწორედ ამ ისტორიული რეალიების გათვალისწინებით შესანიშნავად გაჟღერდა პატარა ქართველების მიერ წაკითხული ილიას, აკაკის და სხვა თანამედროვე ქართველთა პატრიოტული თემატიკის ლექსები. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა სკოლის მუსიკის პედაგოგმა მერი ტკვაცირიამ. ბავშვებმა შესანიშნავად იმღერეს პატრიოტული სიმღერები. მოსწავლეებთან ერთად იმყოფებოდა კლასის დამრიგებელი ხათუნა ნიკურაძე.

ბავშვთა დაცვის დღეს მუზეუმი ბავშვებს უფასოდ მოემსახურა, უნდა აღინიშნოს ადგილობრივი გიდის, გიორგი ფანცულაიას შესანიშნავი მასპინძლობა. მან ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდა ნიკოლაძეთა შესახებ და საჭირო ცოდნა შესძინა მოსწავლეებს. ღონისძიების ბოლოს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა მელაურის საჯარო სკოლასა და მუზეუმს შორის. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: მათე ულრელიძე, მაგდა ნემსაძე, საბა ჭახნაკია, ბექა გეგუჩაძე, გიორგი კუბლაშვილი, ანანო ერქვანიძე, ანი ფოცხვერია, ელენე ქოიავა, ქეთი გეგეშიძე, გია სიხარულიძე, ოთო არველაძე.





# ქართული ენა, სამშობლო და მასწავლებელი

მეოთხე კლასის გამოსაშვები საღამო გაიმართა მე-3 საჯარო სკოლაში. მაყურებლის წინაშე პედაგოგი იზო კანდელაკის სადამრიგებლო კლასი წარსდგა. მხიარულ მელოდიაზე დარბაზში შემოფრენილმა თვალებციმციმა გოგო-ბიჭებმა მაშინვე მონუსხეს მაყურებელი და რაღაც სასიამოვნოს და საინტერესოს სახილველად განაწყვეს.

თავდაპირველად 4 წლის წინ ცოდნის ამ ტაძარში გადადგმული პირველი ნაბიჯები გაიხსენეს, მოეფერნენ პირველ მასწავლებელს, მარეხ თევზაძეს და სათანადო პატივი მიაგეს "დედაენის" შემოქმედს, იაკობ გოგებაშვილს.

ქართული ენა, სამშობლო და მასწავლებელი _ ეს სამი ცნება გასდევდა ლაიტმოტივად მთელ ღონისძიებას. ქართული ენის უნიკალურობას, სრულყოფილებასა და უკვდავებას უსვამდა ხაზს მეოთხეკლასელთა მიერ წაკითხული ქართველ კლასიკოსთა ლექსები.

იზო კანდელაკის მოწაფეებს არც ჩვენი ქვეყნის ტკბილ-მწარე ისტორია დავიწყებიათ, გულში ჩამწვდომი სიტყვებით გაიხსენეს საქართველოს ორი მოუშუშებელი იარა _ აფხაზეთი და ოსეთი. მაყურებლისთვის ძნელი აღმოჩნდა, ცრემლის გარეშე მოესმინათ ვაჟთა მიერ საოცარი გრძნობით და ზღვა ემოციით წაკითხული სადღეგრძელო.

ღონისძიების ბოლოს სათუთად მიუალერსეს ყველა პედაგოგს, ხაზი გაუსვეს მათ ღვაწლსა და უანგარო თავდადებას მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

მაყურებელთა მხურვალე აპლოდისმენტები არაერთხელ დაიმსახურა შესანიშნავად შესრულებულმა ხალხურმა ცეკვებმა და სიმღერებმა. სკოლის დირექტორმა, ვენერა ივანიშვილმა ღონისძიების მონაწილეები სიგელებით დააჯილდოვა და მათ მეხუთე კლასში უპირობოდ გადაყვანას დაჰპირდა. ვენერა ივანიშვილი საჩუქრის გარეშე არ დარჩენილა _ მეოთხეკლასელმა, ალექსანდრე გოგიჩაიშვილმა თავისი დაწერილი ლექსი საჯაროდ წაუკითხა სკოლის დირექტორს.

***ნინო ნანიტაშვილი***



# "არ იწერება შენზე ლექსები"

ნათია ნაცვლიშვილი

***"მამის ძალა მუხაშია, დედის ცრემლი იაში" _ ამ სიტყვების შთამბეჭდაობაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს პირველი საჯარო სკოლის მესამე კლასის პედაგოგმა ქეთევან როხვაძემ და მისმა ულამაზესმა მოსწავლეებმა. შემოქმედებითად აქტიურმა პედაგოგმა, სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიების თემად მამაშვილური სიყვარული აიღო. დიახ, ბატონებო, საპატიო ადგილას დარბაზში იმ დღეს მამები ისხდნენ და შვილებისაგან სიყვარულით გაჯერებულ ტექსტებს ისმენდნენ, საყვედურობდნენ პოეტებსაც, მამებზე ლექსების შექმნაში სიტყვაძუნწობის გამო. თუმცა, მამისადმი მიძღვნილი არაერთი ლექსიც ახმიანდა სცენაზე.***

_ მამული მამების დასაცავია, მამების საპატრონოა, მამა ოჯახის იმედია და სიმდიდრეა, სამშობლოს დარაჯია, ხნულის გამყვანია, მამა ისაა, ვისაც გააქვს ლელო და ვისაც ასაკი არა აქვს! _ ასე ამაღელვებლად და ემოციურად დაიწყო საღამო პედაგოგმა და მაყურებელი საინტერესო შეხვედრისათვის შეამზადა. დარბაზის მორთულობაც შთამბეჭდავი იყო. ქუდი ხომ სიმბოლოა ნამუსისა, ოჯახიშვილობისა, კაცურ-კაცობისა. დარბაზში დაკიდებული ქუდებიც სიმბოლურ დანიშნულებას ატარებდა. მსგავსი თემატიკის ღონისძიებები ჩვენი სინამდვილისათვის უცხოა. ამდენად, ჩვენს დროში, როცა სერიოზული საფრთხე შეექმნა ოჯახის ინსტიტუტს, როცა ემიგრაციაში მყოფი დედის მისია ხშირად სახლში დარჩენილმა მამამ შეითავსა, მსგავს ღონისძიებებს, მართლაც, დადებითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია ჩვენს საზოგადოებაზე. საქართველოში, სადაც პატივს სცემენ ტრადიციებს და მამაკაცი ოჯახის ბურჯად მიიჩნევა, მამას პატივი კიდევ ერთხელ მიაგეს და თავისი უფლებებიც შეახსენეს შვილებმა.

დედა თუ სიცოცხლის საწყისია, რა დააშავეს მამებმა? ძვირფასო მამა, უშენოდ არა! _ განაცხადეს პატარებმა. მათივე თქმით, ხშირად დედები მამის ავტორიტეტს არამართებულად მოიხმობენ და ამბობენ: მამამ არ გაიგოს! არადა, მისი ავტორიტეტი არამც და არამც არ უნდა იყოს გატოლებული დასჯის ფენომენთან, პირიქით, მამა ავტორიტეტული უნდა იყოს. და კიდევ, ერთი ხაზგასასმელი მომენტი: საუკეთესო, რაც შეუძლიათ მამებს გაუკეთონ შვილებს, ეს არის _ უყვარდეთ მათი დედები!

ყველაზე ემოციური და ამაღელვებელი ერთ-ერთი ბიჭუნას გამოსვლა იყო, რომელმაც თქვა, რომ თავის შთამბეჭდავ ცეკვა "ქართულს" გარდაცვლილი მამიკოს ნათელ ხსოვნას უძღვნიდა. აქვე აჟღერდა ჯანსუღ ჩარკვიანის შესანიშნავი სიმღერა: "შენ რომ დიდი იქნები, მე რომ აღარ ვიქნები..." შესანიშნავად იმღერეს ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები,

პედაგოგ სოფიო ახობაძის მოსწავლეები ყოველთვის საუკეთესო რეპერტუარს წარმოადგენენ სცენაზე, ამჟამადაც ასე იყო. ბრწყინვალედ იცეკვეს სამეჯლისო და ქართული ცეკვებიც. ქორეოგრაფ ჟორა პაქსაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა აფხაზური, აჭარული და ქართული ცეკვები. ყველაზე ემოციური ქორეოგრაფიული ნომერი კი იყო მამიკოებისა და შვილიკოების ვალსი! ღონისძიების ბოლოს, სკოლის დირექტორმა

ხათუნა ფაილაძემ, განსხვავებული და ნოვაციური ღონისძიების გამო, მადლობა გადაუხადა ქეთევან მასწავლებელს, ბავშვებს და მშობლებს და დარბაზში მშობლის სტატუსით მყოფ კობა სიხარულიძეს გადასცა სიტყვა. კობა სიხარულიძემ და ასევე მშობლის სტატუსით მყოფმა ცნობილმა სტომატოლოგმა, გიორგი ვაჩეიშვილმა მოიწონეს მსგავსი ღონისძიების იდეა და მადლობა გადაუხადეს პედაგოგს. ემოციური იყო სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსის, თინა ხარძიანის გამოსვლა. მან ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ პირველ სკოლაში არის შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივი და ბავშვები ბრწყინვალე ღონისძიებებით გვამახსოვრებენ თავს. მან ასევე ისაუბრა ქართულ ტრადიციულ ოჯახში მამის გამოკვეთილ როლზე და წარმატება უსურვა სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს.







# ერთ დიდ და ულრან ტყეში...

ერთ დიდ და ულრან ტყეში... ასე არ იწყება თანამედროვე ზღაპარი, ანუ ის, სამტრედიაში, მეშვიდე საჯარო სკოლის ტყეში რომ დაიდგა. დეკორაცია ბუნებრივი გახლდათ. ხეების ჩრდილი სკოლის ეზოში "ფიფქია და შვიდი ჯუჯათი" გახდა ულრანი ტყე, სადაც ზაფხულის ხვატისთვის თავის შეფარება ისედაც უყვარდათ მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც.

ორიგინალურობა არც მანამდე ჰკლებია რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, ნათელა ნიკოლეიშვილის ღონისძიებებს. ეს კი ის შემთხვევა გახლდათ, კარგა ხანია, ყურს მონატრებული რუსული არა მხოლოდ გაკვეთილზე რომ ისმოდა სავალდებულო მოსასმენად. ქართული აქცენტით ნათქვამი რუსული ფრაზები და პირიქით, რუსულით "გატეხილი" ქართული არის ის, რაც ყველაზე მეტად მონატრებია ამ ორი ერის წარმომადგენლებს ერთმანეთში. იმ დღეს პოლიტიკის ადგილი არ იყო არც იმ ზღაპარში და არც იმ ტყეში, ჩიტების ჭიკჭიკით რომ ხვდებოდა მაყურებლად მოსულ სტუმრებს.

ღონისძიება ქართულად დაიწყო. გაგრძელება ჰქონდა რუსული. მე-7 სკოლის მოსწავლეები გამორჩეული არტისტულობით სულ ცოტა ხნით იქცნენ მომხიბვლელ ფიფქიად, საყვარელ გნომებად, ბოროტ "დედინაცვლად", უშიშარ პრინცად, ჯადოსნურ სარკედ და კიდევ სხვა ზღაპრულ გმირებად, შესაბამისი გრიმით და კოსტიუმით.

დავიწყებ იმით, რომ ამ ტყის თეატრალურად ათვისების სურვილი მქონდა", _ ღიმილით ამბობს პედაგოგი ნათელა ნიკოლეიშვილი და დასძენს: "უნდა ვთქვა, რომ უპირველესად ბავშვებს სურდათ რუსულად დაგვედგა რამე. რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი გახლავართ და ბუნებრივია, ამ ენაზე ვაკეთებ ღონისძიებებს. არა მგონია, ქართველ და რუს ხალხს კულტურული თვალსაზრისით რამე გასაყოფი ჰქონდეთ ერთმანეთთან. ეს არ არის პირველი სპექტაკლი ჩემს მიერ ჩემს მოსწავლეებთან ერთად დადგმული და არც ბოლო იქნება."

სკოლის დირექტორი მარინა გოგიშვილი სანახაობით კმაყოფილი აცხადებდა: "დიახ, რუსეთი ოკუპანტი ქვეყანაა დღეს საქართველოსთვის, მაგრამ ეს პოლიტიკაა, რომელიც შეიძლება ყოველ წუთს შეიცვალოს. ჩვენ კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების ენით ვსაუბრობთ და ხალხისთვის, საზოგადოებისთვის, ამ ორი ერის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილისთვის ეს არის მთავარი."

ზღაპრული იდუმალება ტყის სიმწვანეში ჩაიკარგა. მალე ბავშვურმა მხიარულებამ აავსო იგი. ფიფქიაც და მისი ჯუჯებიც ისევ მეშვიდესკოლელ გოგობიჭებად იქცნენ. ბოროტი ჯადოქარიც და დედინაცვალიც კეთილი გახდა. ჰოდა, მეტი რაღა გვინდა, ზღაპრის კეთილი დასასრულიც სახეზე იყო. ჭირი იქა, ლხინი აქა და... მომავალი სასწავლო წელი ახალი ზღაპრებით დაელოდება ზარის კვლავ აწკრიალებას ამ სკოლაში.

თეა ბაბუნაშვილი







# “შენ ჩემი სული გიჭირავს ხელში”

ნათია ნაცვლიშვილი

***აკადემიური ღონისძიებით წარსდგნენ სკოლის მეოთხე ა კლასის მოსწავლეები პუბლიკის წინაშე. ჯგუფში გენდერული ბალანსი დარღვეულია, ვაჟები გოგონებს სჭარბობენ, თუმცა ამას თავისი ახსნა აქვს _ ბიჭების დედიკოებს სურდათ, სწორედ რუსუდან წიქვაძეს ეწინამძღვრა მათი ანცი და ცელქი შვილებისათვის, სწორედ მას, მრავალწლოვანი პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგს გამოეძერწა ამ გოგო-ბიჭების ფაქიზი სულები და გაეკვლია გზა ცოდნის მწვერვალებისაკენ. და ვინ იცის, უკვე მერამდენე თაობას აცილებს სკოლიდან რუსუდან მასწავლებელი, ღირსეულთა შორის ღირსეული, ნიჭიერებით, პუნქტუალობით, ზნეკეთილობით, პედაგოგისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებით შემკული. ამ გაცილებას სევდის ელფერი დაჰკრავს, ეს რუსუდან მასწავლებლის ბოლო საგაკვეთილო ზეიმია და ცრემლი აქვთ თვალზე როგორც მოსწავლეებსა და დარბაზში მსხდომ მის კოლეგებს, ისე ჩვენ, სტუმრის სტატუსით მყოფთ. თუმცა, როგორც მოგვიანებით იტყვის სცენაზე ამ საღამოს შესაფასებლად გამოსული სკოლის დირექტორი, ხათუნა ფაილაძე, ეს სიყვარულის და დიდი პატივისცემის ცრემლებია!***

პედაგოგი ბავშვებს დარბაზში მხიარული შემოუძღვა, მას მუსიკალური და ქორეოგრაფიული განათლების მქონეს, არ გასჭირვებია, თავადვე დაედგა ბავშვებთან ერთად ქართული ცეკვები, უცხოური ჩა ჩა ჩა-ს და ჰიპ-ჰოპისთვის კი, ქრისტინა ზაქრაძე დაიხმარეს. ბავშვებმა სცენაზე აჭარულის, აფხაზურის და რაჭული ცეკვების ცეცხლი დაანთეს. როგორც ბიჭებმა, ისე გოგონებმა შემოგვთავაზეს ქართველ კლასიკოსი კომპოზიტორების, ჯანსუღ კახიძის, რევაზ ლაღიძის, ვაჟა დურგლიშვილის და სხვათა სიმღერები (პედაგოგი სოფიო ახობაძე). განათლების უპირველეს მიზანზე ისაუბრეს, ეროვნული სულით დამუხტულ, პატრიოტ ქართველებად გავიზრდებითო, პირობა დაგვიდეს. და რადგან ამ ყველაფერში პედაგოგების უდიდესი წვლილია, ძალზე თბილად მოეფერნენ ყველა პედაგოგს, ვისთანაც კი დღემდე შეხება ჰქონიათ. “რამდენს გადავდგამ ვაჟკაცურ ნაბიჯს, იმდენს ვგრძნობ ხელზე შენს ხელის მტევანს” _ თითქოს წინასწარმეტყველურად გაიმეორა პატარა ბიჭუნამ პოეტის ეს ულამაზესი სტროფები. მათ მიერ წარმოთქმულმა ლექსებმა ბევრი სითბო და სიყვარული დაიტია. ყვავილებით დაასაჩუქრეს პედაგოგები სოფიო ახობაძე, ანჟელა ბუაძე, ნონა ჯინჭარაძე. შესაშური იუმორის კორიანტელიც დაატრიალეს და მათი ასაკის მიუხედავად, უჩვეულოდ კარგად გაართვეს თავი იუმორისტულ სკეტჩს. იუმორის თემა ქართველი პედაგოგის ხელფასის სიმცირე და ქართული პოლიტიკური სპექტრის ზოგიერთი ფიგურაც იყო. იუმორით დაგვამახსოვრა თავი ელგუჯა ჯანელიძემ. პატარებმა მადლიერება მშობლების მიმართაც გამოხატეს, მათი თქმით, მასწავლებელი ბავშვის გულში თესავს მარცვალს და ნაყოფი მშობლის დახმარებით უნდა მოიმკას. ჩვენ მოვდივართ! დაე, ჩვენი სამტრედე ქალაქისათვის ულევი წარმატება მოგვეტანოს!

შემართებით განაცხადეს და სკოლის დირექტორს, ხათუნა ფაილაძეს პირობა დაუდეს, რომ აუცილებლად აღასრულებენ დიდი ტრადიციებისა და მაღალი კულტურის მქონე სკოლის მთავარ მიწოდებას, რომელიც სწორედ დირექტორს ეკუთვნის: “პირველებო პირველობისაკენ!” ეკრანზე გაირბინა კინოკადრებად აკინძულმა რუსუდან მასწავლებლის პედაგოგიური ცხოვრების ისტორიამ. აქ კი ვერც პატარებმა შეიკავეს თავი და გული აუჩუყდათ, ისინი საყვარელ პედაგოგს დაჰპირდნენ, რომ აუცილებლად ხშირად ნახავენ მას. თავად პედაგოგმა სიტყვის თქმისაგან თავი შეიკავა, ეს ის შემთხვევა იყო, როცა თავად ისმენდა უამრავ გულწრფელ მადლობას.

ხათუნა ფაილაძე: “ძალიან წრფელი და ამაღლებული სიყვარულის გამომხატველი ცრემლებია, ჩემო პატარებო, გილოცავთ 4 კლასის წარმატებით დასრულებას, ხალისიანები და სწავლის წყურვილით აღსავსენი გადადიხართ მომდევნო კლასში. მადლობა მშობლებო, რომ იდექით პედაგოგების და თქვენი შვილების გვერდით და მათი სულების ასე სწორად და ლამაზად ფორმირებაში ღებულობდით მონაწილეობას. დღეს თქვენ პედაგოგის სიყვარულის ცრემლი რომ მოგეძალათ, იმის დასტურია, რომ პედაგოგი ფაქიზად ეფერებოდა ამ ბავშვების პატარა გულებს, გამოვთქვამ ჩემს უდიდეს პატივისცემას და ქედს ვიხრი თქვენს წინაშე რუსიკო მასწავლებელო, ხართ საუკეთესო საუკეთესოთა შორის, უძლიერესი, უჭკვიანესი მასწავლებელი! ვარ ბედის მადლიერი, რომ წილად მერგო თქვენთან მუშაობა, სხვა ღირსეულ პედაგოგებთან ერთად თქვენ შექმენით სკოლის მატიანე, თუ ამ სკოლას აქვს სიმყარე და სიძლიერე, თქვენც ჩადეთ აგურები მის ბალავარში.”

საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი, ელზა ცხვირავაშვილი: “მოხიბლული ვარ და არაერთი ასეთი





ლამაზი ღონისძიება გვინახავს ამ სკოლაში, ძალიან ბევრი აქტივობა ტარდება, დღევანდელი ღონისძიების შემდეგ ვფიქრობ, ეს ბავშვები ხელოვნების სკოლის მოსწავლეები ხომ არ არიან? გეტყობათ, ბავშვებო, სასწავლო პრაქტიკაც კარგად დაძლიეთ და მხატვრულ მხარესაც შესანიშნავად გაართვით თავი, მინდა სიტყვაუხვი ვიყო და ვთქვა, რომ რუსუდან მასწავლებლის დამსახურება უდიდესია, რაც გაგიკეთებიათ თქვენი პროფესიის დიდი სიყვარულით, არაფერი დაკარგულა, დღევანდელი დღეც თქვენი მრავალწლოვანი ღვაწლმოსილობის გვირგვინია, იმდენად უშრეტი ენერგიით ხართ დამუხტული, იქნებ არ იჩქაროთ და არ მიიღოთ სკოლიდან წასვლის გადაწყვეტილება! მადლობა სკოლას და თქვენ, მადლობა ბავშვებს და მშობლებს!” მშობლების სახელით მიესალმა პედაგოგს ნათია ბიბილეიშვილი. მან სიყვარულით გაიხსენა, რომ რუსუდან მასწავლებელი მისი პედაგოგიც იყო და უსაზღვროდ მადლიერია პედაგოგის. რუსუდან მასწავლებელს ასევე მიესალმა პირველი ბაგა-ბაღის გამგე, მარინა შენგელია და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

# “ჰოდა დავლაშქროთ ერთად ჩვენ მწვერვალები ცოდნის”

***მეოთხე კლასს ემშვიდობებიან მეთერთმეტე საჯარო სკოლის მოსწავლეები, საუკეთესონი, ნიჭიერებითა და შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებულნი. _ ჩვენი ცხოვრების მომავალს პატარა ხელებით ვქარგავთო, გვითხრეს ამ გოგო-ბიჭებმა. მათი პედაგოგი, თამარ ხვიჩია განსაკუთრებულად ამაყია დღეს, მის მიერ დათესილი კეთილი ცოდნის მარცვალი გაღვივებულა, ამ პატარა გოგო-ბიჭებს ღრუბელივით შეუსრუტავთ პედაგოგის ნათქვამი თითოეული სიტყვა, გაუწალდა გზა და ამიტომაც არიან მოსწავლეები ასე თავდაჯერებულნი, ასე შემოქმედებითნი.***

სამშობლოსა და ღვთის სიყვარულს ჩვენი წინაპარი ერთმანეთთან აიგივებდა, ამ ბავშვებმაც იციან, რომ არ უნდა უღალატონ ამ ცნებებს. ერთად ასახელებენ ოთხ წიგნთა-წიგნს_ “ბიბლიას”, “ქართლის ცხოვრებას,” “ვეფხისტყაოსანს” და “დედაენას”. ქვეყნის წინაშე გაწეული იაკობ გოგებაშვილის ღვაწლიც არ დავიწყნიათ პატარებს. “ენა კალთას დაგაფარებს, დედაენა გისამშობლებს” _ არაერთი ასეთი ლამაზი სტროფი წარმოსთქვეს._ ნუ გავხდებით ნაქართველარნი! _ გააჟღერეს ბავშვებმა უმთავრესი მიზანი და დევიზი მათი მომავალი ცხოვრების.



ერთ-ერთი ამ ბავშვების თანაკლასელი, დავით კოპალეიშვილი დღეს საბერძნეთში იმყოფება, ამიტომ თანაკლასელებს ის სკაიპით ჩაერთო და შესანიშნავად წარმოსთქვა მუხრან მაჭავარიანის “საბა”. პატარებმა ენერგიული ცეკვებიც წარმოადგინეს, ბრწყინვალედ იმღერეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ანსამბლის წევრებთან (ხელმძღვანელი ელისო რობაქიძე) ერთად და განსაკუთრებულად გაალამაზეს ეს საღამო.

_ თქვენ ხართ მომავალი საქართველოს ღირსეული მამულიშვილების სულის მოძღვარნი. ერი, რომელიც მასწავლებლებს არ სცემს პატივს, განწირულია დასაღუპავად. _ თქვეს მოსწავლეებმა და კიდევ მრავალი ლამაზი ლექსით და ჩანახატით მოეფერნენ პედაგოგებს. ენერგიით იყო დამუხტული თამარ მასწავლებელიც, შეუდარებლად თბილად და დიდი სიყვარულით დაემშვიდობა ის თავის მოსწავლეებს, ბუდიდან აფრენილ მერცხლებს. ძალზე ემოციურად წაუკითხა ულამაზესი ლექსი, რომლითაც დაულოცა გზა ცოდნის კიდევ უფრო მაღალი და თვალშეუდგამი სივრცეების დასაპყრობად. “დღისით იყავით ჩემთან, ჩუმად გლოცავდით ღამით”._ მიმართა აცრემლებულ გოგო-ბიჭებს და თბილად გულში ჩაიკრა ისინი. შემდეგ მასწავლებელმა წარმატებულ ბავშვებს დიპლომები გადასცა.

ნათია ნაცვლიშვილი

# ის ერთადერთი აკაკი იყო

***მრავალსაუკუნოვანი სიტყვაკაზმული ქართული მწერლობა რამდენადმე ღარიბი იქნებოდა უთუოდ, აკაკი წერეთლის ხმატკბილი შემოქმედების გარეშე.***

***თითქოს განგებამ დაუკავშირა ერთურთს ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.***

***ტყუპი ძმებივითა ჰგავს ერთმანეთს მათი შემოქმედებაც. ორივეს საფიქრალთ საფიქრალი სნებაშეყრილი, ღრმა ძილით მთვლემარე საქართველოსა და ქართველი ერის გამოღვიძება-გამოცოცხლება, “გამომხნევება” იყო.***

კალმით ბრძოლა გახლდათ საგანი ნახევარსაუკუნოვანი გარჯისა მათთვის და იბრძოდნენ კიდეც, ჰკიცხავდნენ მამულის მტრებს, შინაურ ორგულთ, ქებას არ იშურებდნენ ღირსეულ ერისშვილთა სახოტბად, სადიდებლად.

ცნობილი ფაქტია, რომ აკაკი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს მთასა და ბარში, ამერ-იმერში და ყველგან განუზომელი სიყვარულით იყო მოსილი.

სოფელ დიდ ჯიხაიშსაც რამდენჯერმე სწვევია თურმე აკაკი წერეთელი, განმარტება არაა საჭირო, მისი მთავარი მასპინძელი დიდი ერისკაცი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, დიდი ნიკო ნიკოლაძე და მისი სტუმართმოყვარე ოჯახი რომ იქნებოდა. ადგილობრივი მეეტლის დახმარებით ნიკოს სასურველი სტუმარი დიდი ჯიხაიშისა და ახლომდებარე სოფლების სანახებში წაუყვანია, დიდად აღტაცებულა ქვემო იმერეთის თვალწარმტაცი ბუნებით მგოსანი.

არსებობს საკმაოდ ცნობილი და ფართოდ გავრცელებული ფოტო, რომელზედაც აკაკი და ნიკო ჩალის ქუდებით არიან გამოსახულნი. ეს ფოტო სწორედ დიდ ჯიხაიშშია გადაღებული. “აკაკი წერეთლის მოგზაურობა დიდ ჯიხაიშში,” შესაბამის მასალაზე დაყრდნობით ზედმიწევნითი სიზუსტით ჰქონდა აღწერილი ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დიდ მოამაგეს, ვალერიანე ბიბილეიშვილს თავის ერთ-ერთ ნაშრომში თანდართული ფოტოთი.

საუკუნეზე მეტი გავიდა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან, თუმცა მისი ნააზრევი დღესაც საყურადღებო და გასათვალისწინებელია. საოცრად ეხმიანება დღევანდელობას მისი ლექსი:

### “დამეხსენი, ჩრდილოელო!”

დამეხსენი, ჩრდილოელო!
რა მაქვს შენთან საზიარო?
თვით ოხერო, მოუვლელო,
როგორ გინდა მომიარო?
ბუნებისგან დაჩაგრული
განა შესძლებ მეგობრობას?
მოშხამული, ცივი გული
სხვას რას გასწევს,
თუ არ მტრობას.
წლიდან წლამდე უცნაურად
გეყინება ტვინი თავში!
უნდა ძალაუნებურად
ეხვეოდე დათვის ტყავში!
დამეხსენი, ჩრდილოელო!
რა მაქვს შენთან საზიარო?
ნუ, ნუ ჰფიქრობ, ჩემო მწველო,
რომ მფლობელად აღგიარო.”



21 ივნისს, 1840 წელს დაიბადა აკაკი, გარდაიცვალა 1915 წელს.

ლევან გაბეჩავა

# ''ღმერთო, სამშობლო გადამირჩინე''

## (ზოია ვაშაკიძის პოეტური კრებულები)

2018 წელი, ერთობ ხვავრიელი გამოდგა პოეტ ზოია ვაშაკიძისთვის... ამ რთულსა და გაძნელებულ ყოფაში, როცა აგრერიგად ჭირს წიგნის გამოცემა, მკითხველისთვის მათი მიწოდება... ზოია ვაკაშიძე, ეს უშურველი, დაუთმობელი ბუნების ქალბატონი იმისთვის იბრძვის და იღვწის, რომ ქართველ ხალხს, მის ახალგაზრდობას და რაც მთავარია, მოზარდ თაობას მხატვრული სიტყვის სიყვარული ასწავლოს, მის მადლს აზიაროს, ეს კი დიდი საქმეა! სულ ახლახან გამოქვეყნებული, მისი პოეტური კრებულები სწორედ ამ ღირსეულ საქმეს ემსახურება. სამივე წიგნი გასულ წელს გამოიცა: ''სულში შეფუთული ლექსები'' _ (გამომცემლობა ''ინტელექტი''), ''ნაცრისფერ საღამოზე ფიქრში'' _ (გამომცემლობა ''მერანი'') და ''მე ქართული საქართველო მინდა''. _ (გამომცემლობა ''სამართლიანი საქართველო'').

ზოია ვაშაკიძე, როგორც პოეტი, პედაგოგი, აღმზრდელი, მთელ თავის სასიცოცხლო ენერგიას ამ რთულსა და ძნელ საქმეს ახმარს.

*

ცხოვრებაში ყველა თავის ტვირთს ეზიდება. რამდენადაც შეუძლია და როგორც შეუძლია. ზოია ვაშაკიძე _ ქალი, დედა, პიროვნება და რაც მთავარია პოეტი, თავისი შემოქმედებით, სიცოცხლის წყურვილით სამშობლოს ერთგულ შვილად ითვლება. მისი სატკივარი მისი ქვეყანაა, მასზე ფიქრობს, მასზე წუხს... მისი ლექსები, მიხვედრები თუ მიგნებები მუდამ გულწრფელია. რასაც არ უნდა ეხებოდეს, წარსულს თუ მომავალს, დღევანდელობას... პოეტი გაბედულად ამხელს სიმართლეს: ''მე ვცხოვრობ დროში, დრო ჩემში ცხოვრობს, უერთმანეთოდ წამითაც ვერ ვძლებთ, ხან სასტიკია და ულმობელი დრო _ სულის ქარი, დრო _ ყოვლის შემძლე. დრო მე მაფხიზლებს, დროს ვედავები, დრო მხრებზე მაწევს, ვით მძიმე ტვირთი, ხან დობილივით მომყვება გვერდით, ფიქრით ხან ვუსწრებ და ცისკენ მივქრი...'' მისი სტრიქონები ლაღი და თავისთავადია, მისი გულწრფელობა გადამდებია. თუნდაც უმნიშვნელო საგანი იყოს, მშობლიურ მიწაზე მობიბინე მწვანე ბალახი იქნება თუ გუბისწყალში მოჩხრიალე ფერადი კენჭები, ყოველი მათგანი...

''რაზე დაფიქრებულხარ, პაწაწინა ბალახო, შენი გმინვა მომესმა, შენს ფესვებთან ვარ ახლო, თავი ზემოთ ასწიე, ცრემლი არ დამანახო, _ მიწა ცოდვით აივსო, სხივი სისხლზე ბალახობს, ჩვენ ვერ ვშველით ვერაფერს, წამიც არ გვაქვს სალაღო, წამო ცისკენ, იქნებ იქ, ვპოვოთ ხსნის გზა, ბალახო!'' აქ პოეტი ქალი დამაფიქრებელ პასაჟს ჰქმნის, სხივი სისხლიან ბალახზე, ცისკენ ლტოლვა, ხსნის გზა... აშკარა საფიქრალს უტოვებს მკითხველს. ამიტომაა ლექსიდან ლექსში, როგორც განწყობა, ფიქრი და შეგონება ისე გადაედინება მისეული მიხვედრები: ''მერე გამიტაცებს ცის საუფლო, ბედისწერისაგან ვინ დამიცავს, ხშირად მომინატრებს სასაუბროდ, ჩემი ცრემლიანი დედამიწა'' _ ამბობს პოეტი.

''ცრემლიანი დედამიწა'' აქ უმთავრეს დატვირთვას იღებს... იგი გვიმხელს თავისი არსებობის მთავარ საზრუნავს: ''ფიქრებში ხშირად იელვებს შიში _ ხომ შეიძლება გათავდეს ძილში მთელი სამყარო. მჩხვლეტს გული, თითქოს ეკლებზე ვწევარ და ჩნდება კითხვა: ასე რომ მოხდეს, რას იზამს მაშინ მაღალი ღმერთი, გაიმეორებს ადამს და ევას?! ამგვარ კითხვას ძნელად გაეცემა პასუხი. ავტორსაც უჭირს პასუხის გაცემა... იგი თითქოს დიალოგში გვიწვევს, ჩვენ, მკითხველებს.. იმასაც გვახვედრებს, რომ არ შეგვწევს ძალა, რომ ბოლომდე მივსდიოთ გონების ხმას, მისახვედრელს მივხვდეთ, რომ ამქვეყნად ყველა ქცევას, მიხვედრას, არსებობას, თავისი გამართლება აქვს, მერე მოდის ჟამი როცა ბედის ყოველგვარ წყალობას ჩვენი სულიერი განწყობილების მიხედვით ვაფასებთ ''ჩემს სულს ექნება სურნელი ხორბლის, მომესევიან სველი ჩიტები რომ სინანული მიწაზე ყოფნის მაგრძნობინონ და დავმშვიდდები... გადავატარებ მზერას ლურჯ კორდზე, დავცვარავ ბალახს ცრემლებით, თბილით და გადაუვლის მიწას ყოველდღე ჩემი სულისა და ჩიტების ჩრდილი.

ხოლო როცა პოეტი ქალბატონი თავის სამშობლოს, მის სივრცეებს, ყრმობის წლებს, სანატრელ იმერეთს შემოიყვანს ხილვად სამყაროში, ფერებად, ხმებად, დილის სხივებად აკინძავს მათ, უფრო მსუყე და ხავერდოვანი მოჩანს სამყარო. წუთები თითქოს ბადაგად იღვრება და გრძნობ, როგორ იჟღინთები უჩვეულო სურნელით, სულის ნეტარებას რომ წააგავს... ''მშვიდი, ჩურჩული გუბისწყლის ტალღის და სანაპიროს ქვირითი კენჭთა, ბავშვობის წლების ღვთაებრივ ძახილს და მონატრებას მოვყავარ შენთან... ეალერსება ჩემი ოცნება ცაცხვის ფოთოლზე გაწოლილ მთვარეს. შენ საბუდარში მსურს ყოფნა გულით, დამხურე შენი ზეცის მანდილი, შემეგება და მითხარ ჩურჩულით, ჩემი შვილი ხარ, ჩემი გაზრდილი!''

პოეტს თანდათან სიზმრისეულ სამყაროში გადავყავართ, მისი განცდის თანაზიარი ვხდებით, რაც აშკარა სიამოვნებას განგვაცდევინებს. ''გზები მელანდება მთვარიანი, ფრენა განა ასე იოლია? ჩემი სანთელი და საფიცარი, ჩემი გელათი და რიონია... ვაზი მელანდება ნატირალი, ვარდი ცვარნამით რომ ნამულია, ჩემი სიმღერა და სიხარული ჩემი დედული და მამულია''.

აზრის სისხარტე, საფიქრალის ბუნებრიობა ალამაზებს სტრიქონს...

*

''მე მაშინ დავიბადე, როცა სამშობლო მეღუპებოდა, განსაცდელში იყო...''(ნაპოლეონი).

პოეტსაც ძნელბედობის ჟამს მოუწია ამქვეყნად მოსვლა. მის თვალწინ მრავალმა სიძნელემ ჩაიქროლა, თუმცა სული არ შეთრთოლებია, არც უკან დაუხევია, კვლავაც აგრძელებს სამომავლო გზაზე სვლას. ისიც იცის, რომ სიცოცხლე მთას წააგავს, რომელზედაც ნელ-ნელა ადიხარ, ჩამოსვლით კი სწრაფად ეშვები... რადგან ცხოვრება თავად წააგავს მარადიულ სვლას. ამიტომაა პოეტი ქალბატონის ბოლო წლების შემოქმედება უდაოდ განსხვავდება ადრეული ლექსებისგან. დაბრძენებასთან ერთად, დაოსტატება მოვიდა... მეტი ჩაღრმავება, მეტი ანალიზი, მიხვედრის საოცარი უნარი და რაც მთავარია, ძნელად მისაღწევი თავისთავადობა.

ზოია ვაშაკიძის პოეტურ კრებულებში გვხვდება ლექსების ციკლი, რომლებიც თავისი უშუალობით, სიმართლის გამხელის აუცილებლობით, უდაოდ გამახსოვრებს თავს. აქ გადმოცემულია პოეტის განცდები მოზარდ თაობასთან პირისპირ შეყრისას: ''როცა ჩემთან მოდიხართ ტიტებით და ვარდებით ყველა ტკივილს ვივიწყებ და ღიმილით გბარდებით...'' _ მიმართავს მათ. ხოლო უცხოეთში მცხოვრებ, ცხოვრების უკუღმართობისგან დროებით გახიზნულ გოგო-ბიჭებს, მათ მშობლებს აფრთხილებს: ''ჩვენთან ყინვამ ლღობა იწყო, მალე გზის პირს _ აყვავდება ნუში, გეფერებით _ ქართული არ დაივიწყოთ, ''დედაენა'' ჩაიხუტეთ გულში''.

პოეტის შემოქმედება სავსეა თანამედროვე ადამიანის ფიქრით, წუხილით, სამყაროს შეცნობის სურვილით. იმ სატკივარით, ხშირად რომ გვახსენებს თავს _ ''ნეკნი ჩატეხია საქართველოს, სისხლი დანთხეულა ათასების, ცრემლად დაღვენთილა მთა და მდელო, კვნესის მისი შვილი _ აფხაზეთი... მინდა ზართა რეკვა ზეცას მიწვდეს. მინდა შევაწუხო მამაღმერთი, რომ მთელ მსოფლიოში ომი აღარ იყოს, აღარ განმეორდეს აფხაზეთი''.

რეალური სინამდვილე აიძულებს პოეტს მეტი დაფიქრებით მოეკიდოს დღევანდელობას. საკუთარი თვალით დანახული, უშუალოდ განცდილი გაუზიაროს დანარჩენებს. თუნდაც მკითხველს... ასეთ დროს სათქმელს თამამად ამბობს: ''თითქოს ამ ქვეყნის დიდი დედა ვარ, ისე მიწიწკნის გულ-ღვიძლს მამული... მგონია, ზოგჯერ ძვირფას განძს ვკარგავ, ცხადშიც, სიზმარშიც მაქვს სინანული. მკორტნიან ფიქრნი, მაქვს სიამაყე, როგორც ჩვევიათ კოლხებს, იბერებს, ღმერთო, სამშობლო გადამირჩინე, არ ჩამიმწაროთ ბეჩავს სიბერე''.

*

პოეტის შემოქმედებაში, უმთავრეს თემად, უფრო სურვილად თუ განცდათ აღიქმება ლექსების ციკლი, რომელსაც ''ღმერთო! სამშობლო გადამირჩინე'' _ ეწოდება. აქ არაფერი გამოგონილი არ არის. მხოლოდ სტრიქონებში ჩაკარგული სევდა იგრძნობა, წუხილი მშობლიურ მიწა-წყალზე, მის ყოველ გოჯ მიწაზე, მის სადარდელზე და საწუხარზე. როგორც ყოველთვის, ავტორი აქაც გულწრფელია _ ''ვინ დათვალოს სევდის დღენი... ღამე ფიქრით ნათენები... გული მტკივა, გაიხიზნენ სადღაც ჩემი ქართველები. გოდებს მიწა... მოწყენილნი ფრენენ ციცინათელები. მოუმრავლდა ჩემს ქვეყანას სულ უცხონნი... სხვა ფერები...''

აქ ომახიანი შეძახილი ნაკლებად ისმის, უფრო მკაცრი გაფრთხილებაა სამომავლო შიშია და, რაც მთავარია, უსაზღვრო სევდაა, როცა არ იცი, რა ელის შენს ქვეყანას... დიდ ტკივილს ვერაფრით შველი და ცხოვრების მძიმე უღელში შებმული, უსასოო არსებად მიიჩნევ საკუთარ თავს. თუმცა სათქმელს ბოლომდე ამხელ და ტკივილიან სიმართლეს ყველას გასაგონად ხმამაღლა ღაღადებ: ''გევედრები, უკვდავ ფერმწერს, არ გააშრო შენი ფუნჯი, განგვიწმინდე ქართვლის სული, არ წაგვექცეს რწმენის ბურჯი! გვედრი, თვალს ნუ მოარიდებ შენი დედის წილხვედრ მხარეს, დასაკორტნად არვის მისცე, მტარვალს გულს ნუ გაუხარებ. გადმოხედე, დაიფარე, ოქროს ჯაჭვი შემოავლე, ნუ ასტუმრებ ავგულს, გულღრძოს შენს ანარჩევ ზურმუხტ მთაველს! მხოლოდ შენი გზით გვატარე, შეგვრჩეს ჩვენი ზნე და წესი ჩვენ ჩვენს მიწას გვაპატრონე, ვიყოთ მისი მხვნელი, მთესი''.

პოეტის შემოქმედებაში მრავალი გამოსარჩევი ლექსია, ერთ-ერთი მათგანი _ ''საქართველოს'' _ ''ბედნიერი ვიქნებოდი, შენ რომ ასე არ მიყვარდე, ასე აღარ გავტირებდი იმ დაკარგულ ბაღის ვარდებს. ასე არ დამაღონებდა მოწყენილი შენი ზეცა, გულს ასე არ მომიკლავდა დაკარგული მიწის კვნესა. შენც იწვი და მეც მაწვალებ გულზე უხვად მახვევ დარდებს... ბედნიერი ვიქნებოდი, შენ რომ ასე არ მიყვარდე...''

*

როგორც ვწერდი, პოეტის შემოქმედებაში უმთავრესი ადგილი სამშობლო ქვეყნის დიდ სიყვარულს უჭირავს. იგი დედობრივ უსათუთეს განცდასთან არის შეზავებული და მთლიანად მოიცავს მას. ხოლო რაც შეეხება მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდას, მათი გემოვნების ჩამოყალიბებას, უმთავრეს საფიქრალად ქცევია პოეტს. ამიტომაა მისი ლექსების უმრავლესობა განთიადის პირველ სხივივით მსუბუქი და გამჭვირვალე მოჩანს _ ''რა იდუმალი მოჰყვება დილებს... თბილ საღამოებს რა ფიქრი ჩასდევს, რა აშრიალებს ამ ალვის ჩრდილებს, რატომ აქვს სწრაფვა ცისაკენ ამ მთებს. თითქოს სხვაგვარად ამოდის მზეც და საკმევლის სუნით თვრება ჰაერი, აქ უხილავად ყოფნა სურს ღმერთსაც, აქ უხვად აფრქვევს ცა მადლს, ღვთაებრივს. აქ დუღს მირონი ანგელოზური, განცდებით აზრის მორევი ბორგავს და საქართველო ფიქრით მოცული, ჯვარცმული უფლის ოქროს სახლს მოჰგავს!'' ამგვარი ლექსი ყოველთვის ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მოზარდ თაობაზე, იმახსოვრებს და შთაბეჭდილების ქვეშ ექცევა...

ცხოვრების წლებმა, გამოცდილებამ ბევრ რაიმეს მიახვედრა პოეტი, იცის _ რომ ძნელია იცხოვრო მხოლოდ დღევანდელი დღით, როცა არ იცი რას მოგიტანს ხვალინდელი... რას გიმზადებს წუთისოფელი. ცდილობს დროულად გასცეს თავისი წილი სიხარული, ღიმილი, სითბო და სიკეთე. სხვათა თანაგრძნობისათვის მზადაა, ამიტომაა მისი პოეზია შეუცნობელი სურვილებით სავსე _ ''სიყვარულის მზე გადმომყვა იავნანიდან, აკვნიდან''. ხოლო როცა პატარებისთვის იწყებს ლოცვას, იგი მიმართავს მათ _ ''მინდა მოგეფერო ანგელოზო, მინდა ჯამრთელად და მხნედ იყო, შენ ჯერ წერა-კითხვა არ იცი, ჩემს ლექსს წაგიკითხავს დედიკო. პწკარში სიყვარული მიგალობს, გული შუქს ასხივებს ჩაუქრობს, ჩემი თვალხატულა მზის ქალო, ჩემო უშიშარო ჭაბუკო!''

*

პოეტის შემოქმედებაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რელიგიის თემაზე დაწერილ ლექსებს, რასაც მრავალმხრივ ცოდნასთან ერთად შინაგანი სულიერი მდგომარეობა ესაჭიროება. ღმერთისა და ადამიანის სიახლოვის უფაქიზეს თემას მრავალი ლექსი უძღვნა პოეტმა. თითოეული მათგანი საზოგადოებაში გამეფებული გულგრილობის, სხვისი გასაჭირისა და ტკივილის გაზიარების უნარითაა სავსე. სადაც პოეტის რწმენა ღმერთისადმი ნაკლებად ზედაპირულია, გულის სიღრმეში სათუთად დაცული და შენახული. ამგვარი განცდა მთელ მის არსებას უჩვეულო ძალს მატებს: ''დიდება უფალს! ჭეშმარიტს, ნათელს, მადლის მფენს უხვად, დიდება უფალს! ნუგეშს რომ აძლევს ღარიბს და მწუხარს, დიდება უფალს! რომ გვაგალობებს და გვალხენს, თუ ხამს, დიდება უფალს! ცოდვათა შემნდობს და მეოხ გულთა...''

ამგვარი პოეზია უდავოდ სჭირდება დღევანდელობას, ასე რომ მოგვეძალა ურწმუნოება და უსიყვარულობა. ყველაზე მეტად იგი ჩვენს გაუხეშებულ სულებს სჭირდება... სწრაფვა მაღალზნეობრივი განცდებისაკენ _ ''ვითარც ბეღურა ჩემგან ნამცეცებს, ისე მოველი წყალობას შენგან''. _ წერს პოეტი. ''შევხარი ხატზე ფერთა ხავერდებს და ღმერთს, ჩემს ხალხს და მამულს ვავედრებ. თუნდაც ეს სტრიქონები: ''რა პატარა ხარ, გულო ტაძარო, მიკვირს ვით იტევ მთლიან სამყაროს!''

მხატვრული სახეებით გაჯერებული მისი პოეზია დიდებულ სურათებად აღიქმება _ ''ტაძარში შესვლა ჰგავს ცაში ყოფნას, თუნდ ერთი წამით. სამ თითს რომ შეკრავ, თითის წვერებზე ვარსკვლავები დაგასხდებიან...'' ხოლო როცა ცხადს სიზმარი ცვლის, ფერები უფრო შთამბეჭდავი ხდება ''წვიმა ნათელი უხვად იმ ღამით, ქარი ციურში ყვავილს ურევდა... თეთრი გიორგი, დიდი წმინდანი უფლის სიყვარულს ჩამჩურჩულებდა. მადლობელი ვარ ძალის განგების, ვდგავარ მუხლმოყრით სალოცავ ხატთან და სამადლობელს, ლოცვად აღვლენილს, პატარა სანთლის სხივს ცისკენ ვატან''. აქ ბოლომდეა გამხელილი ავტორის ფიქრი, სადარდელი, მას სწამს, რომ ''ყველა ხატიდან სინათლე მოდის... როს გულის თვალით შევცქერით ხატს... ყველა ხატიდან ვგრძნობ დიდ სიყვარულს და ამაღლების დიდ ძალას, ცხადს...''

წერილის დასასრულს, მსურს საკუთარი ფიქრი გავუზიარო მკითხველს... ქართულ პოეზიაში, მის უკიდეგანო მკითხველს... მის უკიდეგანო და ულამაზეს სივრცეში, ზოგან, ძნელად შესამჩნევი სიცარიელე მოჩანს... ვინ უნდა ამოავსოს ისინი?! თუ არა ზოია ვაშაკიძის მსგავსმა პოეტებმა, განზე გამდგარმა, უხმაუროდ მცხოვრებმა, უჩუმარ საქმეს შეჭიდებულმა, ქართული პოეზიის დიდებულ პალიტრას თავისებურ ფერადოვნებას რომ სძენენ...

წარმატებები ვუსურვოთ პოეტს!

**ლეილა მესხი**

## გიორგი ხუჭუამ ბესარიონ შვანგირაძეს გარჯა დაუფასა

საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში სამტრედიელი ფალავანის წარმატებით დასრულდა. 8 და 9 ივნისს გერმანიის ქალაქ ბერლინში საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა ჭაბუკთა შორის, სადაც საქართველოს ნაკრების სხვა წევრებთან ერთად კლუბ ''ფალავანის'' აღზრდილი, გიორგი ხუჭუაც მონაწილეობდა.

მიუხედავად გიორგის პატარა ასაკისა, მან უკვე მეორედ მოახერხა საერთაშორისო ტურნირებზე ვერცხლის მედლების მოპოვება. პირველი გამარჯვება გიორგი ხუჭუამ სასომხეთის დედაქალაქ ერევანში იზეიმა. წარმატებული დებიუტიდან გამომდინარე, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ხელმძღვანელობამ 15 წლის ძიუდოისტს ნდობა გამოუცხადა და გაცილებით უფრო მასშტაბურ შეჯიბრებებზე სასპარეზოდ დაუშვა.

გიორგი ხუჭუა ბერლინშიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან 4 შეხვედრა შესანიშნავად განვლო და მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო, დაეუფლა ვერცხლის მედალს და შესაბამისი სიგელიც დაისაკუთრა.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობაძიუდოში ავთანდილ თარგამაძე სარგებლობს შემთხვევით და გიორგი ხუჭუას პრიზიორობას განსაკუთრებით ულოცავს მის პირად მწვრთნელებს, ბესარიონ შვანგირაძეს, ასევე მშობლებს და გულშემატკივრებს.

**ნინო ნანიტაშვილი**



# მხიარული სტარტები მეოთხე ბაგა-ბაღში

ნათია ნაცვლიშვილი

***მეოთხე ბაგა-ბაღში ამ ზაფხულს საინტერესო ღონისძიებათა მთელი კასკადია! ბავშვურ ემოციას, ენერგიას და სიცელქეს სრული თავისუფლება მიეცა. ღირსეული სამტრედიელის, ჭიდაობის პროფესორად მიჩნეული ვახტანგ ბალავაძის ხსოვნას მიეძღვნა გრანდიოზული სპორტული ღონისძიება "მხიარული სტარტები".***



ახლახან საინტერესო აქტივობა გავაშუქეთ, ასე უცებ როგორ მოახერხეთ ახალი პროექტის მომზადება? _ ვეკითხები ბაღის მმართველსა და მეთოდისტებს. _ საკმარისია ერთი სიტყვა ვუთხრათ პედაგოგებს და იდეა ფრთაშესხმულია! _ ბრძანეს ერთხმად.



ბაღის მმართველი, ნანა დუნდუა სპორტულად არის გამოწყობილი და წამყვანის მისიაც თავად შეუთავსებია. ეს ენერგიული ქალბატონი ფორმაშია, ლირიული ჩანართებითაც ალამაზებს სპორტულ ღონისძიებას. _ ვინ იცის, იქნებ ამ ბაგა-ბაღიდან იღებს სტარტს დიდი ვახტანგ ბალავაძის მიმდევარი! _ ბრძანა ქალბატონმა ნანამ და დიდი სპორტსმენის ბიოგრაფიიდან ჩინებული ისტორია გაიხსენა, როცა ის შეეჭიდა მსოფლიო ჩემპიონობის ყველაზე რეალურ პრეტენდენტს, თურქ აბუკირ ბიუკეს. მან თურქი, რომელიც თურმე "ზეთწასმული" ჭიდაობდა, ბეჭებით გააკრა ხალიჩას! მაინც ვერ გადაურჩა ვახტანგის მუხანათურ მაკრატელას... მართლაც, ვინ იცის, ამ ენერგიულ გოგო-ბიჭებში რა ტალანტია დამალული!

პედაგოგები, 4-5 წლიანთა ჯგუფებთან ერთად, ფორმებში გამოწყობილნი წარსდგნენ ეზოში შეკრებილი ხალხმრავალი მაყურებლის წინაშე. დაწყების წინ, ბაღის ეზოში ოლიმპიური ცეცხლი სიმბოლურად შემოიტანა ამ ბაღის ყოფილმა აღსაზრდელმა, მესამე სკოლის მოსწავლემ, ირაკლი კიკვაძემ. მაშ, ასე! არენაზე ოთხი გუნდი გამოვიდა: "ჭიამაია" (აღმზრდელი თეონა ჭანტურია), "მტრედები" (აღმზრდელი მაკა დვალიშვილი), "ციცინათელა" (ქეთევან ლომია) და "გვირილა" (ნინო დოლიძე).

ბრწყინავენ პატარები, ბევრი ლამაზი სახენათელი და თვალებციმციმა პატარა წარსდგა მსმენლის წინაშე. პირველი ნომერი მისალმებაა, შემდეგი _ ბურთი თავს უკან. ერთ-ერთ აქტივობას ასე ჰქვია: მოსავლის აღება, მეორეს _ ჭაობი. ამ შეჯიბრებას თან ახლავს რიტმული მოძრაობები, უნდა აღინიშნოს ყველა აღმზრდელის და მათი თანაშემწეების უპრეცენდენტო ძალისხმევა, ისინი გაათკეცებული ენერგიით პატარებს სპორტული თავგანწირვის საუკეთესო მაგალითს აძლევდნენ. ასევე მოეწყო ბაგირის გადაძალვა მშობლებს შორის და ბოლოს უცხოური მუსიკის ჰანგებზე მშობლებისა და აღმზრდელების ერთობლივმა ფლეშ-მობმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.



მეოთხე ბაგა-ბაღის მეთოდისტი მარინა ქოჩოვი: "მოზარდების ფიზიკური უნარების განვითარების და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით ვატარებთ მხიარულ სტარტებს. მოგეხსენებათ, ჩვენი მთავარი საზრუნავი ჯანსაღი თაობის აღზრდაა, ვმუშაობთ აღსაზრდელთა ჰოლისტური (მრავალმხრივი) განვითარებისათვის".

მარინა ბაღდავაძე, ბაგა-ბაღის მეთოდისტი: "მოგეხსენებათ, რეფორმა გულისხმობს მრავალ საინტერესო თემატურ აქტივობას, დღეს ერთ-ერთი აქტივობის დღეა, შესანიშნავი გუნდი მუშაობს ამ ბაგა-ბაღში და შედეგიც სახეზეა. დღეს ჩვენმა პატარებმა ბრწყინვალე სპორტული აქტივობა აჩვენეს".

– ცხოვრება შეჯიბრებაა, ბავშვებო, დღევანდელი დღე იყო ძალიან ლამაზი, პოზიტიურები იყავით, საამაყო მომავალი ეყოლება თქვენი სახით ქვეყანას! ძალიან მიყვარს ამ ბაგა-ბაღში მოსვლა, რადგან ყოველთვის მოწოდების დონეზე არიან, დიდი მადლობა ნანა დუნდუას, აღმზრდელებს, ბავშვებს." _ მიესალმა აქტივობის მონაწილეთ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების შესყიდვების სამსახურის უფროსი ქეთევან ივანიშვილი. სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების უფროსმა ხათუნა გაგუამ ასევე შეაქო მხიარული სტარტების ორგანიზატორები და მონაწილენი და ყველა ბავშვი სიგელით დააჯილდოვა. შესანიშნავი სანახაობისთვის მადლობა გადაუხადა ბაღის მმართველს, მეთოდისტებს, აღმზრდელებსა და ბავშვებს გაერთიანების უფროსის მოადგილემ, მარინა შენგელიამ.

## "მოყვარულთა ფეხბურთი 2019-ის" გამარჯვებული დიდი ჯიხაიშის გუნდია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის მიერ "მოყვარულთა თასი 2019" იმართება მთელი ქვეყნის მასშტაბით. მიმდინარე საფეხბურთო ტურნირში სამტრედია აქტიურად ჩაერთო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული გუნდები ერთმანეთს 28 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით დაუპირისპირდნენ. ტურნირზე, ჯამში, 10 გუნდმა იასპარეზა. "მოყვარულთა თასი 2019-სს": ბაშის ფეხბურთის გუნდმა უმასპინძლა. ფინალური დაპირისპირება ბაშისა და დიდი ჯიხაიშის გუნდებს შორის შედგა. მატჩმა დიდი დაინტერესება გამოიწვია, გუნდების საგულშემატკივროდ ადგილობრივებთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა და მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდის კართან რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა, ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ფინალური მატჩი მშრალი ანგარიშით 0:0 დასრულდა.

გამარჯვებულების გამოსავლენად პენალტების სერიის დანიშვნა გახდა აუცილებელი, სადაც უპირატესობა დიდ ჯიხაიშელებმა მოიპოვეს და მასპინძელი, ბაშის გუნდი დაამარცხეს.

"მოყვარულთა თასი 2019-ის" მუნიციპალური ტურის გამარჯვებული დიდი ჯიხაიშის ფეხბურთის გუნდი მომდევნო ეტაპზე რეგიონალურ ტურნირზე იასპარეზებს. გამარჯვების შემთხვევაში კი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით ევროპის არენაზე მოსინჯავს ძალებს.

ნინო ნანიტაშვილი

### ისინი მინსკში გამოვლენ

ბელორუსის დედაქალაქი მინსკი 21-30 ივნისს უმასპინძლებს მეორე ევროპულ თამაშებს, რომელშიაც სხვებთან ერთად საქართველოს ოლიმპიური გუნდის 61 სპორტსმენი სპორტის 9 სახეობაში მიიღებს მონაწილეობას.

### მადრიდის რეალი

ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ _ უეფამ ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა.

რეიტინგს სათავეში უდგას და 146 000 ქულით ლიდერობს მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო სამეფო გუნდი _ მადრიდის (ესპანეთის) "რეალი".

ამავე სიაში ქართული საფეხბურთო კლუბებიდან ყველაზე საუკეთესო შედეგი აქვს ქართული ფეხბურთის ფლაგმანს _ თბილისის "დინამოს", რომელსაც 3750 ქულით 281-ე პოზიცია უკავია.

იორამ ნიკოლეიშვილი

### მერი ბანძავა-შანიძის მონატრება



დედა _ რამდენ ალერსს და სიყვარულს იტევს ეს ერთი სიტყვა, რამდენი სითბო იღვრება სხეულში მისი წარმოთქმისას. რა განძის მფლობელია ის ადამიანი, ვისაც დედა ცოცხალი და თავის გვერდით მყოფი ჰყავს. 4 ათეული წელი მაბედნიერებდი, დედიკო, მაძლიერებდი და რწმენას მაძლევდი, რომ ამქვეყნად ყველაფრის შემძლე ვიყავი. რომ მაქვს უნარი, მთები გადავდგა და უამრავი კეთილი საქმე ვაკეთო. უკეთილშობილესო, შრომაში და გარჯაში დაღლილო, დედიკო, ათი წელია უშენობა მტკივა, შენი ალერსი მენატრება. შენ ხომ არაჩვეულებრივი დედა, მეუღლე და ზოგადად, ადამიანი იყავი. ჩემო ლამაზო, ჩემო მზრუნველო დედიკო, შორიდან გეფერები და პატიებას გთხოვ იმისთვის, რომ იმაზე მეტი ვერ გაგიკეთე, რასაც შენისთანა დიდებული და შვილებისთვის თავგანწირული დედები იმსახურებენ. გწამდეს, შენს სახელს არასოდეს მივაყენებთ ჩრდილს, ჩვენო სამაგალითო, მისაბაძო დედავ და ბებიავ.

ნანა და თამაზ შანიძეები, მანონი და რამაზიკო თარგამაძეები

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

**ჯემალ შენგელია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობს ქალბატონ ფოთოლა ჩიქობავას მეუღლის

**ჯემალ შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

გულიკო გოგიტიძე, თამარ და თემურ ჯულაყიძეები, ფატი ზამთარაძე, დიანა და ალმირ არველაძეები თანაუგრძნობენ ფოთოლა ჩიქობავას, ნინო, ლელა და გიგა შენგელიებს მეუღლისა და მამის

**ჯემალ შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ექვთიმე, სამონასტრო დასი და მრევლი თანაუგრძნობენ ფოთოლა ჩიქობავას მეუღლის

**ჯემალ შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

### რობერტ ჯინჭარაძის მონატრება



გომის საშუალო სკოლის მეათეკლასელებისთვის საშუალო სკოლის დამთავრება ტრაგიკული აღმოჩნდა. პირველი გამოცდის ჩაბარების აღსანიშნავად ბუნებაში გასვლას გულსატკენი მოვლენა მოჰყვა. მდინარეში 17 წლის რობერტ ჯინჭარაძე დაიხრჩო.

ის 1969 წლის კურსდამთავრებულთა შორის და მთელი სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული სანიმუშო ყოფაქცევის და მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლე, საუკეთესო პიროვნება და ერთგული მეგობარი იყო.

მტკიცედ მჯერა, მისგან წარმატებული და სასახელო პიროვნება დადგებოდა. ნაადრევად წავიდა, თუმცა, მისი სახელი ძმისშვილის სახით გაგრძელდა, მისი მოსახელე რობერტ ჯინჭარაძე ღირსეულად ატარებს ბიძის სახელს.

გარდაცვალებიდან 50 წლისთავზე გულისტკივილით გიგონებ გომის საშუალო სკოლის 1969 წლის კურსდამთავრებულთა სახელით რობერტ ჯინჭარაძეს.

იორამ ნიკოლეიშვილი
სოფელი დაბლა გომი



ეს მეთოდი კარგად ვიცით,
არ ახალი, არის ძველი,
ვინ დაგითმო, ვინ მოგართვა
ეს მთავარი სავარძელი?

# გიორგი ზაქარიაძე _ ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი "კაზახ კურესში"

სამტრედიელი გიორგი ზაქარიაძე ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. 8 და 9 ივნისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი "კაზახ კურესში", ანუ ყაზახურ ჭიდაობაში, სადაც საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად ორი სამტრედიელი ფალავანი მონაწილეობდა. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ღირსებას იცავდნენ კლუბ "ფალავანის" აღზრდილი სერგო გოგიშვილი და მძიმე, +100 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი ზაქარიაძე.

ტრავმის გამო სერგო გოგიშვილმა მედლისთვის ბრძოლა ველარ გააგრძელა და 20 წლის ფალავანი ასპარეზობას ნაადრევად გამოეთიშა.

სამაგიეროდ, მძიმე წონით კატეგორიაში მონაწილეობის შემდეგ, სადაც გიორგი ზაქარიაძემ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა , არ შეჩერებულა მიღწეული წარმატებით. ორთაბრძოლებში ყველა წონით კატეგორიაში გამარჯვებულები ჩაერთვნენ აბსოლუტური ფალავანის გამოსავლენად ასპარეზობაში, რაც გახდა კიდეც "კაზახ კურესშის" გვირგვინი.



მას შემდეგ, რაც მძიმე წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა და მოიპოვა უფლება აბსოლუტური ფალავნის ტიტულისთვის ებრძოლა, გიორგი ზაქარიაძე ხალიჩაზე გამოვიდა გამარჯვებისთვის მოტივირებული და მაქსიმალურად გაწონასწორებული. სამტრედიელმა ფალავანმა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ოთხი ბრძოლა მოიგო. გიორგი ოქროს მედლის დასაუფლებლად ამარცხებს სლოვენიელ, რუს, სომეხ და აზერბაიჯანელ ფალავნებს. ნანატრი ოქრო და ჩემპიონატის მთავარი პრიზი 26 წლის გიორგი ზაქარიაძემ საქართველოში წამოიღო. მის პატივსაცემად პოლონეთის დედაქალაქში გაჟღერდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი და საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართა.



სამტრედიელი მოჭიდავეების ორთაბრძოლებს მშობლიური ქალაქიდან ოჯახის წევრებთან ერთად თვალს ადევნებდნენ გიორგი ზაქარიაძის აღმზრდელ-მწვრთნელები: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ავთანდილ თარგამაძე და მსოფლიო ჩემპიონი ბადრი შენგელია.

"ეს ის სიხარულია, რომელიც ყველა მწვრთნელმა საკუთარ თავზე უნდა გამოსცადოს. ბედნიერია ის, ვისაც ასეთი ღირსეული შეგირდები ჰყავს აღზრდილი. გიორგი ზაქარიაძე წარმატებულია სპორტის, კერძოდ, ჭიდაობის 4 სახეობაში: ძიუდოში, ქართულ ჭიდაობაში, სამბოში; ამჯერად უკვე ყაზახურ ჭიდაობაში, რომელიც ევროპისა და მსოფლიო არენაზე ახლახან გამოვიდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ გიორგი ზაქარიაძეს მისი სპორტული მოღვაწეობის მანძილზე დამარცხებული ჰყავს მსოფლიოსა და ევროპის მრავალი ტიტულოვანი ფალავანი. გვჯერა, რომ ჩვენი გიორგი მომავალშიც ააფრიალებს საქართველოს დროშას და მის საპატივცემულოდ საქართველოს ჰიმნი კვლავ გაჟღერდება". _ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში მწვრთნელებმა, ავთანდილ თარგამაძემ და ბადრი შენგელიამ გიორგი ზაქარიაძეს კვლავ უსურვეს წარმატებები მსოფლიო და ოლიმპიურ ასპარეზობებში.

**ნინო ნანიტაშვილი**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

| | |
|---|---|
| დირექტორი | ბექან გოგია |
| მთავარი რედაქტორი | ქეთევან ჭელიძე |
| გამომშვები რედაქტორი | თეა ბაბუნაშვილი |
| პასუხისმგებელი მდივანი | ლევან გაბეჩავა |
| კომპიუტერული გრაფიკა | მაკა პაპავა |





იცოდით, ჭავჭავაძის ქუჩა №1-ში მდებარე მაღაზია K & J-ს შესახებ. იქნებ ისარგებლეთ კიდეც მისი მომსახურებით, მით უფრო, თუ მხედველობის პრობლემა გაქვთ. აქ ყოველთვის შეგიძლიათ შეიძინოთ ევროპული ხარისხის მზა სათვალეები, ჩარჩოები, კოსმეტიკური და მაკორექტირებელი კონტაქტური ლინზები, სათვალის აქსესუარები, კონტაქტური ლინზების მოვლის საშუალებები. აქვე სწრაფად დაგიმზადებენ სათვალეებს და დაზიანების შემთხვევაში შეაკეთებენ კიდეც.

ეს ყველაფერი არ არის: შაბათს და კვირას თბილისიდან მოწვეული ოფთალმოლოგი, კლინიკა "ბალტიკას" ექიმი, მილენა ნონიაშვილი თქვენს ჯანმრთელობაზეც იზრუნებს. მაღაზია აღჭურვილია თანამედროვე ოფთალმოლოგიური აპარატებით. რეფრაქტოკერატომეტრით მოხდება თქვენი თვალის გუგის დათვალიერება და ნომრის დადგენა, ხოლო დიოპრიმეტრის მეშვეობით _ სათვალის დიოპტრის დადგენა.

სათვალის დამზადება ხდება ავტომატური ხელსაწყოს საშუალებით, რომლითაც გარანტირებულია თქვენი სათვალის სიზუსტე.

ქველმოქმედების მიზნით, პერიოდულად, სოციალურად დაუცველებისა და ბავშვებისათვის K & J-ს ეგიდით უფასო გამოკვლევებიც ტარდება.

მაღაზიაში თქვენ სუნამოებისა და საათების ფართო არჩევანიც გელოდებათ. შეგიძლიათ თქვენთვის სასურველი ორიგინალური, მაღალი ხარისხის სუნამოები გამოიწეროთ კიდეც.

K & J კომპიუტერულ მომსახურებასაც სთავაზობს მომხმარებელს, არა მარტო ჭურჭელსა და მაისურებზე ხდება სასურველი აპლიკაციების ბეჭდვა, არამედ გრანიტსა და შუშაზეც.

მობრძანდით მაღაზია K & J-ში, თქვენ კვალიფიციური თანამშრომლების მომსახურებითა და მრავალფეროვანი არჩევანით კმაყოფილი დარჩებით!

მაღაზია მუშაობს დილის 10.00 საათიდან 20.00 საათამდე



**გვანცა სანაძეს!**

"გვანციკო, ჩვენი ყოველი დილა
შენი ღიმილის ბრწყინავს თანხლებით,
რედაქციის კარს შემოაღებ და
თბილი ღიმილით მოგვეახლები.

შენ ნათელს გვფენ და ნათელს ასხივებ
და სუფთა გულით გვითბობ იარებს,
ცხოვრებისეულ ქარტეხილებში
მხრებგამართულმა, ლაღად იარე!

**"სამტრედიის მაცნე"**

**მზევინარ ბოჩუას!**

დაბადების დღეს გილოცავთ დიდი პატივისცემითა და კეთილი სურვილებით, ნამდვილად იშვიათი ადამიანი ხართ, ამდენი სითბოს გაცემასა და პატივისცემას რომ ახერხებთ ყველას მიმართ, ამიტომაც ყველას უყვარხართ თქვენი შემართებით, სამართლიანობით და ობიექტურობით. სულ ხალისიანი გვენახე.

ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი!

**ნანული კიკაბიძე**



**მზევინარ ბოჩუას!**

შენთან გატარებული ყოველი დღე ბედნიერია შენი მეგობრებისთვის, განსაკუთრებით გვახარებს 23 ივნისი _ შენი დაბადების დღე. უფალმა ეს დღე ჩვენც მოგვიძღვნა, რადგან გვაჩუქა შენი სახით ერთგული, თავდადებული, მზრუნველი მეგობარი. გვინდა, მუდამ წარმატებულს, გალაღებულს გხედავდეთ. გვინდა, უამრავი დაბადების დღე სიხარულით გაგითენოს უფალმა, ოჯახური იდილია გავსებდეს და ამრავლებდეს შენს მომავალს. ერთი აჩი ერთი ათასად გიქციოს უფალმა. გეხვევით და გეალერსებით.

**შენი მეგობრები**

**ქალბატონ მზევინარ ბოჩუას!**

ჩვენო მზეო, სიკეთით სავსე ღირსეულო ქალბატონო, დიდი პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, როგორც გონიერ დასაყრდენ ხელმძღვანელს. ენერგიულო დაუღალავო, დადებითი მუხტის მატარებელო, ყველას მიმართ მზრუნველო, დიდი იუმორის პატრონო, შესანიშნავო მეუღლევ და დედავ, გისურვებთ ღვთის წყალობას, წარმატებებს ოჯახურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, გფარავდეთ უფალი!

**დიდი სიყვარულით "სახლი თანადგომას" თანამშრომლები**